# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 20 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 212 (6312)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## პრეზიდენტის რეზიდენციის პროექტის ქართველი ავტორი იტალიელი არქიტექტორისგან შეცდომის აღიარებას მოითხოვს!

5



მიკელე დე ლუკი იტალიაშიც არ მუშაობს არქიტექტორად, დიზაინერია და აი შედეგიც: ჩამოვიდა და გააფუჭა შენობა.



## „თავისუფლების ინსტიტუტს“ და კმარელ თეას ეს არ უნდა ეპატიოთ!

ხმა ამოვიღოთ, ქართველნო! 4

## რა ნატვრა აქვს ჩიორას?

ქალებს შორის პოლიტიკური შეთანხმება ვერ შედგა

3 კანონპროექტი



## უმოკლესი 3 გზა ჯოჯოხეთისკენ



## ხუთდღიანი ომის ერთი წლის 8 შემდეგ

## „დიდი მანუჩარის“ 9 ფერადოვანი ნამუადღევი



## აბაშა და 7 ივერიკო დამეგობრდნენ...



№ 212. სამშაბათი, 20 ოქტომბერი, 2009 წელი.

**ინფორმაცია**

## „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდელებიც უერთდებიან

**საზოგადოებრივი ორგანიზაციის „დაიცავი საქართველოს“ თავმჯდომარემ ლევან გაჩეჩილაძემ გუშინ ზუგდიდის ცენტრში ე.წ. საკნების პატიმრები მოინახულა, რის შემდეგაც შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართა.**



გაჩეჩილაძის განცხადებით, ზუგდიდში საკნების აქცია დროებით შეწყდება, რის შემდეგაც „დაიცავი საქართველოში“ გასაწევრიანებლად ხელმოწერების შეგროვება დაიწყება.

მისივე თქმით, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად ხელმოწერების შეგროვებას კარდაკარ დაიწყებენ, ასევე სპეციალური შტაბი გაიხსნა, სადაც მოსახლეობას გაწევრიანება შეუძლია.

გაჩეჩილაძე ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების წამომადგენლებსაც შეხვდა.

## აღადგენს ოპოზიცია დაკარგულ ავტორიტეტს?

**ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციას საზოგადოების მობილიზებისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდება.**



როგორც გია ხუხაშვილმა განაცხადა, საზოგადოებაში ოპოზიციისადმი ნდობა ძალიან დაბალ ნიშნულზეა და ამისათვის ოპოზიციას დაკარგული ავტორიტეტის აღსადგენად გამიზნული ტაქტიკური სვლების გაკეთება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიციამ აქციების განახლების გადაწყვეტილება მიიღო. ოპოზიციის ნაწილი, მათ შორის, კონსერვატიული პარტია, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ „საქართველოს გზა“, ეროვნული ფორუმი, და „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ აქციებს ნოემბრის დასაწყისში განაახლებს.

## მერისა და საკრებულოს უფლებამოსილება უნდა გაიმიჯნოს

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლოდერის თენგიზ შარმანაშვილის განცხადებით, მერისა და საკრებულოს უფლებამოსილება უნდა გაიმიჯნოს.**

**ამის შესახებ შარმანაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

– ჩვენ ვითხოვთ მერისა და საკრებულოს უფლებამოსილება გაიმიჯნოს, რათა მერის ხელში უფლებამოსილების კონცენტრირება არ მოხდეს. აღნიშნული წინადადებით გამოვდივართ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ჩატარებამდე მოხდეს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა, – განაცხადა თენგიზ შარმანაშვილმა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციებს ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან გეგმავს. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან.

## „გოსზნაკში“ აფხაზურ პასპორტებს ბეჭდავენ

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა აფხაზეთის ე.წ. მთავრობას აფხაზურ საზღვარგარეთის პასპორტებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში ჩააბარა. ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმაზე თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს აფხაზეთის საზღვარგარეთული პასპორტი, რა ენებზე უნდა იყოს იგი შევსებული და რა სიმბოლოები უნდა იყოს დატანილი ზედ.**



– ამჟამად მიმდინარეობს სერიოზული სამუშაო. ჩვენ გამუდმებით ვიმყოფებით რუსეთის ფედერაციის „გოსზნაკთან“ კავშირში. ის აფხაზური საზღვარგარეთის პასპორტი რომელზეც მუშაობა, ამჟამად მიმდინარეობს. ყველა საჭირო და აუცილებელი ნიშნებით იქნება დაცული. ახალი პასპორტები ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ საწარმოში „გოსზნაკში“ (რუსეთი) დაიბეჭდება, – განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა.

**ექსპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

**გასაჭირი**

## შიდა ქართლის გლეხებს ზამთრის გადატანა გაუჭირდებათ

**პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა. მოძრაობის მთავარი მიზანი შემოდგომის მოსავალთან დაკავშირებით, გლეხებისთვის შექმნილი პრობლემების მოგვარებაა.**



„სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი რეგულარულად ხვდება რეგიონების მოსახლეობას. რთველის მიმდინარეობის დროს, იგი ხშირად სტუმრობდა კახელ მევენახეებს და მათ პრობლემებს ადგილზე ეცნობოდა. ზურაბ ნოღაიდელს ასევე მუდმივი კონტაქტი აქვს შიდა ქართლის მოსახლეობასთან, წლეულს გლეხები ვაშლის დაბალი შესასყიდი ფასის გამო მატერიალურად საგრძნობლად დაზარალდნენ.

ამ ზარალის ფონზე შიდა ქართლის მოსახლეობა მოითხოვს, რომ როგორც მევენახეებს გამოეყოთ სახელმწიფო დოტაცია, მათაც მიეცეთ ფულადი დახმარება ხილის, კერძოდ კი ვაშლის მოყვანისთვის. გორის მოსახლეობას შესაბამისი ხელმოწერები პრეზიდენტის, მთავრობისა და შიდა ქართლის გუბერნატორის სახელზე, უკვე შეგროვებული აქვს. ასევე ანალოგიური მოთხოვნა აქვთ დასავლეთ საქართველოს რეგიონის მეციტრუსეებსაც.

როგორც პრესკონფერენციაზე ზურაბ ნოღაიდელმა განმარტა, მოსავლის აღებას მოუმზადებლად ვხვდებით, არის კატასტროფულად დაბალი ფასები. 1 ყუთი ვაშლი 60-70 თეთრი ღირს, ასე თუ გაგრძელდა შიდა ქართლის გლეხები ზამთარში ულუკმაპუროდ დარჩებიან.

პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მოუწოდებს ქვეყნის ხელისუფლებას, ანგარიში გაუწიოს მოსახლეობის თხოვნას და ხილის და ციტრუსების მწარმოებელ გლეხებს დოტაცია გამოუყოს.

**ხატია მუსერიძე**

**დადანაშაულება**

## აზერბაიჯანმა თურქეთი ღიად დაადანაშაულა

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თურქეთი ევროპაში აზერბაიჯანის გაზის ექსპორტის ხელის შეშლაში ღიად პირველად დაადანაშაულა.**

გასული კვირის ბოლოს თურქეთის პრემიერმა რაიჯებ ერდოღანმა ბაღდადში ვიზიტისას თავის ერაყელ კოლეგასთან ერთად ხელი მოაწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას, წელიწადში 8 მლრდ კუბური მეტრი გაზის მიცულობის გაზსადენის მშენებლობის შესახებ. გაზსადენმა ევროპაში ერაყიდან გაზი თურქეთის გავლით უნდა გაატაროს. პირველ ეტაპზე ბრიუსელში და პროექტ Nabuko-ს ავტორები ერაყული გაზის სწორედ ამ მოცულობას ვარაუდობენ.

ალიევის განცხადებით, მრავალი წელია აზერბაიჯანი თურქეთს გაზს მსოფლიო ფასთან შედარებით ერთი მესამედით ნაკლები ფასით აწვდის, ორ ქვეყანას შორის უკვე არსებობს სარტანპორტო ინფრასტრუქტურა და საკონტრაქტო ურთიერთთანამშრომლობა.

თურქეთში აზერბაიჯანული გაზის მიწოდება 2006 წლის ბოლოს „შაჰ-დენიზის“ პირველი ფაზის პირობებში დაიწყო.



რამდენიმე თვეა, თურქული მხარე ხელშეკრულების პირობების შეცვლას ცდილობს. ბაქო კონტრაქტით გათვალისწინებული ფასის გადახედვის მომხრეა. ანკარა ბაქოს არ ეთანხმება, თუმცა „გაზპრომისგან“ გაზს ორჯერ ძვირად ყიდულობს. გასულ წელს კი 3-3,50ჯერ ძვირად ყიდულობდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**SIC!**

## მოითხოვენ გამოძიებას

**2009 წლის 2 ოქტომბრის 6/1683 რეზოლუციის შესაბამისად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს მოუწოდებს, სასამართლოს პალატას მოსთხოვოს გახსნილად გამოაცხადოს გამოძიება 2008 წლის აგვისტოს და მას შემდეგ საქართველოს და რუსეთის მიერ ომის დანაშაულის და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამო.**



**სამართლიანობის დასამკვიდრებლად**

# ყოველ ახალ ხელისუფლებას სხვისი უკანონოდ დასჯის ან ქონების წართმევის სურვილი უნდა დაეკარგოს!

**ქონების უკანონოდ ჩამორთმევა, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და სხვა მიზეზთა გამო ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობად იქცა. საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე გულგრილად ეკიდება ამ პრობლემას, სანამ თვითონ არ აღმოჩნდებიან ფაქტისა და უსამართლობის პირისპირ. უმეტეს შემთხვევაში კი „რაღაც-რაღაცეების“ შიშით მაინც ჩუმდებიან.**

შემდეგ უამრავი პატიმარი უკანონოდ იხდის სასჯელს ან პატიმრობის ვადა აქვს გახანგრძლივებული და კიდევ ფრო მეტს ქონება აქვს ჩამორთმეული.

„სამართლიანობის აღდგენისათვის“ – ასე ჰქვია ახალ კამპანიას, რომელსაც ადვოკატი ზაქარია ქუცნაშვილი (რომლის მამა, რომან ქუცნაშვილი, ასევე უკანონო პატიმარია) თავის კოლეგებთან ერთად იწყებს. მან ამის შესახებ გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– უკანონო პატიმრებისა და უკანონო ქონებაჩამორთმეულობის რეგისტრაციით, „სამართლიანობის აღდგენის“ კამპანიის პირველი ეტაპი იწყება. კამპანია მიზნად უკანონო პატიმრების განთავისუფლებასა და რეაბილიტაციას, ხოლო ქონებაჩამორთმეულებისათვის – ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებას ან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ისახავს, – **აღნიშნა ზაქარია ქუცნაშვილმა.**

ადვოკატები მიიჩნევენ, არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ დისკრედიტირებული მართლმსაჯულების ფონზე ავტორიტარული და მოძალადე ხელისუფლების ცვლილებამ დამნაშავეთა განთავისუფლება ან თაღლითების მიერ ერთხელ უკვე სარფიანად გასხვისებული ქონების



უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოიწვიოს. ეს საფრთხე, როგორც მომავალში მოსალოდნელი არეულობა, ხშირად გამოიყურება საზოგადოებაში შფოთვის და მომავლისადმი შიშის გამოწვევის საბაბად. კამპანია სწორედ შიშის გაფანტვის და გამჭვირვალე მომავლის შექმნით, უმთავრეს მიზანს – სამართლიანობის აღდგენას მოემსახურება. ყოველ ახალ ხელისუფლებას სხვისი უკანონოდ დასჯის ან ქონების წართმევის სურვილი უნდა დაეკარგოს!

რაც შეეხება უშუალოდ კომპანიას, ის რამდენიმე ეტაპად იწარმოებს. პირველ ეტაპზე ყველა დაინტერესებულ პირს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მიეცემა საშუალება შეავსონ, გააგზავნონ და უფასოდ გაიარონ რეგისტრაცია საიტის (www.zakaria.ge) სპეციალურ გვერდზე. რეგისტრაციის მონაცემებით შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომლის სხვადასხვა ნიშნით დამუშავება, ანალიზი და გამოქვეყნება უკვე კამპანიის მეორე ეტაპზე განხორციელდება. ასევე საზოგადოებას, მთავრობას და ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს ორგანიზაცია პრობლემის მოგვარების კონკრეტულ გზებს შესთავაზებს. რეგისტრაცია (კამპანიის პირველი ეტაპი) სავარაუდოდ 31 დეკემბერს დასრულდება.

პრესკონფერენციაზე ზაქარია ქუცნაშვილმა ისარგებლა შემთხვევით და თავის პირად ტრაგედიაზეც გააკეთა განცხადება. როგორც ცნობილია, ადვოკატის მამა, პროფესორი რომან ქუცნაშვილი უკვე წელიწადი და ოთხი თვეა უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ხოლო ხუთი თვეა, რაც მისი საქმე უზენაეს სასამართლოში დევს განსახილველად.

– მამაჩემის საქმის სამართლიანად განხილვასა და განაჩენის გამოტანაში პერსონალურ პასუხისმგებლობას ვაკისრებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

**ანა წიწილაშვილი**

კვირის სარკეში

**ძნელია თქმა, რას გულისხმობს ამ ბოლო დროს ფართოდ რეკლამირებული ბიზნესის ლიბერალიზაცია და ხელშეწყობა. ეს, ალბათ, მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცხადი, რაც პრეზიდენტის ინიციატივები კანონმდებლობით განმტკიცდება. მანამდე კი...**

ხელისუფლება ამაზე რომ ფიქრობს, რა თქმა უნდა, კარგია. თუმცა, მიანიშნებს, რომ ამ მომენტამდე ბიზნესისადმი მისი დამოკიდებულება მთლად ჯანსაღი ვერ ყოფილა.

პრეზიდენტ სააკაშვილის მქუხარე „ბიზნესის ლიბერალიზაციის აქტის„ ავკარგიანობაზე საუბარს არ ვაპირებ, მაგრამ ამ დოკუმენტის შექმნა თავისთავად ქართულ ბიზნესში შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე მეტყველებს.

# ჰმოქლესი გზა ჯოჯოხეთისაკენ

ქვეყნის პირველი პირი, თუნდაც ყოვლად უკეთილშობილესი იდეების ცხოვრებაში გატარებას პირადად ვერ გააკონტროლებს — ამისთვის არსებობს სახელმწიფობიუროკრატიული აპარატი. აი, სწორედ ეს აპარატი ზედმეტი გულმოდგინების, უფროსობის წინაშე თავის გამოჩენის, უვიცობის, ან, სულაც, იდეის დისკრედიტაციის გამო, უკანონობას რომ თავი დავანებოთ, ელემენტალური ლოგიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.



**არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ქმედება დაკავშირებული იყოს ორგანიზებულ აპარატულ შეთქმულებასთან იდეის ავტორის წინააღმდეგ.**

ბოლო ორი თვის განმავლობაში, რამდენიმე წვრილი საწარმოს მაგალითზე ვცადე, დოკუმენტურად შემესწავლა ბიზნესისა და საგადასახადო სამსახურების ურთიერთობები. შედეგები იმაზე უარესია, ვიდრე ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს.

თავად განსაჯეთ — უკლებლივ ყველა ბიზნესმენმა კატეგორიული უარი განაცხადა მისი ვინაობის პრესაში მოხსენიებაზე. მიზეზი ერთადერთია — პანიკური შიში, ზოგადად, სახელმწიფო სტრუქტურებისა და, კერძოდ, საგადასახადო სამსახურებისადმი. იმიტომ კი არ ეშინიათ, რომ რამე დააშავეს, არამედ იმიტომ, რომ იციან, სამართლიანობის აღდგენის სურვილის გამჟღავნებისთვისაც კი სასტიკად დაისჯებიან.

სწორედ ამიტომ, პირველად ჩემი ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში, ვერ ვბედავ კონკრეტული ფირმებისა და ბიზნესმენების დასახელებას.

ბიზნესის „დაწიოკების“ სახელისუფლო სქემა უკიდურესად მარტივი და შემაძრწუნებლად ცინიკურია: ვინმე უჩინო აუდიტ-კონტროლიორი იღებს ნებისმიერი ფირმის ნებისმიერი პოსტრევოლუციური ეპოქის ნებისმიერი გარიგების ხელშეკრულებას, ადგენს ოქმს, სადაც უაპელაციოდ ასკვნის, რომ ხელშეკრულება შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით. არავითარი არგუმენტაცია! არავითარი მინიშნებაც კი თუნდაც ფორმალურ შემოწმებაზე! — დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს!

ალბათ, იმის აღნიშვნა არ ღირს, რომ აუდიტ-კონტროლიორი საკუთარი ინიციატივით არ მოქმედებს.

კანონმდებლობის თანახმად, უსამართლოდ დასჯილმა ფირმამ საჩივრით უნდა მიმართოს იმ ორგანიზაციას... რომელსაც უჩივის — ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურის დავების განმხილველ კომისიას. ეს კომისია, ძირითადად, დაკომპლექტებულია საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებისგან. შედეგიც შესაბამისია — კომისია მომჩივანის არგუმენტებს ვერ პასუხობს, მაგრამ მაინც თავისივე მიგზავნილი აუდიტის ოქმს ეთანხმება — უნდა დაისაჯოს!

შემდეგი ინსტანცია (სასამართლომდე), არის... ისევ ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭო, რომელიც აგრეთვე დაკომპლექტებულია, ძირითადად, იმ სამსახურების წარმომადგენლებისგან, ვისაც უჩივიან.

**აქედან გამომდინარე, არც დავების განმხილველ საბჭოს და არც კომისიას, სურვილის შემთხვევაშიც კი, არ შეუძლია იყოს ობიექტური.**

საერთოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც არეგულირებს (უნდა არეგულირებდეს!ძ ფინანსურ ურთიერთობებს მეწარმესა და სახელმწიფოს შორის, თავისი არსით ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივია. ეს არის ძალიან რთული თემა, რაზეც, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ფართო მსჯელობა გაიმართება.

ბიზნესმენთა დიდი უმრავლესობის დასასჯელად, პირდაპირ რომ ვთქვა, მათთვის ფულის წასართმევად და გასაკოტრებლად, საგადასახადო სამსახური, ძირითადად, იყენებს კოდექსის 248-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს საქონლის (მომსახურებისძ გამყიდველის მოვალეობას და პასუხისმგებლობას.

**ვიმეორებ, საქონლის გამყიდველისა და არა მყიდველისა. და მაინც, ბიუჯეტის შევსების მწველი სურვილით შეპყრობილი მეზვერეები (ასე ეძახდნენ გადასახადის ამკრეფებს ძველ საქართველოში) მყიდველი ფირმის გასამტყუნებლად თითს მაინც 248-ე მუხლისკენ იშვერენ.**

ხუთ ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს სხდომაზე მიწვეული იყო... 126 ფირმის წარმომადგენლობა, დაახლოებით 300 კაცი. აქედან ნახევარი მაინც სწორედ ამ მუხლის არასწორი გამოყენების გამო ჩიოდა.

ეს ნიშნავს, რომ თუ საბჭო კოსმოსური სისწრაფით იმუშავებდა, ვთქვათ, ერთი საკითხის განხილვას და გადაწყვეტას (კენჭისყრის ჩათვლითძ 30 წუთზე მეტს არ მოანდომებდა, 126 ორგანიზაციისთვის პასუხის გასაცემად დასჭირდებოდა, სულ მცირე... 63 საათი, ანუ რვა სამუშაო დღე! ამ უხერხულობას, ეტყობა, „საბჭოელებიც“ მიხვდნენ და ყოვლად სულელური გადაწყვეტილება მიიღეს — ორად გაიყვნენ!

**სულელური იმიტომ, რომ საბჭო კოლეგიური ორგანოა და გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს. ორად გაყოფილი საბჭო კი ამას ვერასდიდებით ვერ მოახერხებდა. აქედან გამომდინარე, საბჭოს უკლებლივ ყველა იმდღევანდელი გადაწყვეტილება, სწორიც და მრუდიც, არის იურიდიული ძალის არმქონე.**

საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მესამე პუნქტი მოითხოვს, რომ დავის განხილვას ესწრებოდნენ პირადად მომჩივანი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. ხუთი ოქტომბრის სხდომაზე მომჩივანთა დიდი უმრავლესობის წარმომადგენლები, საერთოდ, არ დაუშვეს!

მომჩივანები სამინისტროში დილიდანვე გამოიძახეს. ღამის ათ საათამდე აყურყუტეს და ბოლოს პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს — კურიერის პირით გამოუცხადეს, გადაწყვეტილებას ხუთ დღეში გაგაგებინებთო.

ხუთი დღის შემდეგ მომჩივანთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიიღო დავების განმხილველი საბჭოს თავჯდომარის, მინისტრ ბაინდურაშვილის მიერ ხელმოწერილი ტრაფარეტული და აბსურდული პასუხი: საბჭომ იხელმძღვანელა სსკ 159-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 160-ე მუხლით და გადაწყვიტა, რომ გამყიდველი ფირმის გადაცდომის გამო დაგსაჯოს თქვენც, მყიდველი ფირმა...

დარწმუნებული ვარ, მინისტრს არც ერთი ეს პასუხი არ წაუკითხავს და არც ერთ საქმეს არ გასცნობია — მან, უბრალოდ, ვერდიქტი გამოსცა: ყველა დამნაშავეა, დაისაჯოს...

იგი ვალდებული იყო, გამოეცა ასეთი ვერდიქტი — ფინანსურ საკითხებს სააკაშვილის ხელისუფლებაში ბაინდურაშვილს, აბა, ვინ ანდობს?

იხ. 4 გვ.

კანონპროექტი

# რა ნატვრა აქვს ჩიორა თაქთაქიშვილს

## ქალებს შორის პოლიტიკური შეთანხმება ვერ შედგა

**რა კარგი იქნებოდა, რომ პარლამენტში ბევრად მეტი ქალი იყოს! — ეს სიტყვები დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს ეკუთვნის, რომელიც მან არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. ისე ჩანს, რომ მისი ნათქვამი გულწრფელია, მაგრამ...**



თაქთაქიშვილის ნატვრა რომ ახდეს, სამწუხაროდ, ამას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რადგან საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, გენდერის შესახებ კანონი, რომელიც ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობასა და ძალთა ბალანსს აღადგენს.

გაერო და სხვა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებისგან უკვე დიდი ხანია მოითხოვენ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღებას, მაგრამ ეს საკითხი კონცეფციის დონეს ვერ გასცდა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი აქტიურად მუშაობს ამ თემაზე, რადგანაც ის საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ექვსი ქალი-დეპუტატის ანაზარადაა დარჩენილი, ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციები ინტენსიურად ჩართო. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და კანონპროექტი გენდერის შესახებ. თუმცა მას ამთავითვე ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ჯგუფის მუშაობის პროცესში განიხილებოდა ორი ძირითადი მომენტი: თუკი პოლიტიკურ პარტიებს ათეულში არ ეყოლებოდათ სამი ქალი მაინც, ისინი მოიხსნებოდნენ საარჩევნო სიიდან; მეორე — თუკი არ იქნებოდა ათეულში სამი ქალი, ვერ მიიღებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას.

რუსუდან კერვალიშვილი არც ერთის წინააღმდეგი არ არის, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ 32 ათასი ხელმოწერით მოთხოვნა „NBI“-ის ოფისშიც ოფიციალურად დევს. მაგრამ სწორედ კვოტების საკითხის ასე კატეგორიული ფორმით დაყენებამ აზრის სხვადასხვაობა გამოიწვია და სამუშაო ჯგუფმა პოლიტიკურ შეთანხმებას ვერ მიაღწია. კონსულტაციებმა შედეგი ვერ მოიტანა.



კანონპროექტში ქალთა მონაწილეობის ასპექტები არის მოცემული — არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ნებისმიერ სოციალურ სფეროში: ჯანდაცვის სისტემაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შრომის კოდექსის შესახებ მიიღება ცვლილებები. ეს ეხება აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატში ქალების მონაწილეობის გაზრდას, საეთერო დროს და ა. შ.

პარლამენტარი ქალები მიიჩნევენ, რომ კანონპროექტის გატანა სესიაზე ამ სახით უნდა მოხდეს და გზადაგზა დაიხვეწოს. „კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“ კიდევ უფრო გააქტიურებს ქალთა ცხოვრებას. რუსუდან კერვალიშვილი ამბობს, რომ ქალთა ცხოვრებას და ქვეყნის პოლიტიკურ რეალობას ძალიან შეცვლის. იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი ჩიორა თაქთაქიშვილიც იმავე აზრზეა: „კანონის მიღება იმიტომ არის აუცილებელი, რომ არსებობდეს სამართლებრივი ბაზა. პარლამენტმა, მასმედიამ, საზოგადოებამ ზეწოლა განახორციელოს აღმასრულებელზე. მართალია, კანონის სრულ დახვეწას 10-12 წელიწადი დასჭირდება, მაგრამ დროა, ამ კუთხით პირველი ნაბიჯები გადაიდგას. კანონპროექტი მიუღებელია სამოქალაქო სექტორისთვის და სესიაზე მის გატანას არ ურჩევენ დეპუტატებს. საკვირველია, რომ არ აქტიურობდა ამ კუთხით ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც ასევე არ იყო განებივრებული ქალების გარემოცვით? რატომ არ გადადგა ამ მიმართულებით რაიმე ქმედითი ნაბიჯი, როცა საქართველო ამ ოცი წლის განმავლობაში მიუერთდა და მიება თითქმის ყველა პაქტსა თუ კონცეფციას, რაც კი დასავლურ დემოკრატიას დღემდე შეუქმნია? (რა სრულდება და რა არა, სხვა საკითხია...ძ.

ქალების პოლიტიკაში აქტიურობის მნიშვნელობა განსაკუთრებით ოპოზიციაში გამოჩნდა. ხელისუფლებასთან ბრძოლის გზაზე შედარებით პრინციპული და რადიკალურები სწორედ ქალბატონები აღმოჩნდნენ: ნინო ბურჯანაძე, ეკა ბესელია და სალომე ზურაბიშვილი. პრინციპულობა და აქტიურობა არც სხვა პოლიტიკოს ქალებს დაეწუნებათ: ნესტან კირთაძეს, გუგული მაღრაძეს, ფიქრია ჩიხრაძეს, მანანა ნაჭყებიას, თინა ხიდაშელს და სხვებს. ამას არასამთავრბოო ორგანიზაციათა ქალთა სპექტრსაც თუ მივუმატებთ საკმაოდ წონადი ძალთა ბალანსი გამოგვივა.

და მაინც, დღეს ისევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რას იტყვიან პარლამენტარი მამაკაცები გენდერული ბალანსის შესახებ: უნდათ მიიღებენ კანონს, უნდათ არა, ეს მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. რას არ იზამს 143 კაცი 7 ქალის წინააღმდეგ.

თუ ამ კუთხით მივუდგებით საქმეს, არც ისეთი დემოკრატები ვყოფილვართ ქართველები, როგორც ევროპელები გვაფასებენ, რადგან XXI საუკუნეში ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში იურიდიულად არ არის გამართლებული. ალბათ, მიპასუხებენ, რა საჭიროა კანონი ქალთა უფლებების გაზრდაზე შუშანიკის ქვეყანაში, თამარ მეფის სამშობლოში, ქეთევან დედოფლის მამულში?! როცა ქალები ცვლიდნენ საქართველოს ბედს და პოლიტიკურ ცხოვრებას...

მაგრამ, ეეე, ეს იყო როდის?

**თეა მოსია**

კვირის სარკეში

# უმოკლესი გზა ჯოჯოხეთისკენ

(მესამე გვერდიდან)

მეორე დღეს, 6 ოქტომბერს, ფინანსთა მინისტრი ჟურნალისტებს უხვად ურიგებდა კომენტარებს და ინტერვიუებს „ეკონომიკის კიდევ უფრო ლიბერალიზაციის“ შესახებ.

ვფიქრობ, ახლა ძნელი არ უნდა იყოს პასუხის გაცემა ერთ დროს საბედისწერო კითხვაზე: სად გაქრა საარბიტრაჟო სასამართლო? — იგი არ გამქრალა, უბრალოდ, სახელი და ფუნქცია შეიცვალა: კერძო არბიტრაჟი



დაერქვა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დავების გადაწყვეტა აეკრძალა. ხოლო დიდი ინკვიზიტორის, ანუ უზენაესი არბიტრის ხალათი ბაინდურაშვილმა მოირგო. ეს ნიშნავს, რომ ახლა უმოკლესი გზა ჯოჯოხეთისკენ ბაინდურაშვილის კაბინეტზე გადის.

სხვათა შორის, ქვეყანაში რევოლუციური ვითარების შექმნას, პირველ რიგში, ჩინოვნიკთა სწორედ ასეთი ქმედება უწყობს ხელს.

ორიოდე სიტყვა დაშინებული ბიზნესმენების გასაგონად.

**დიახ, თქვენი გადამეტებული სიფრთხილე საფუძვლიანია — სავსებით შესაძლებელია, გაგაკოტრონ, ან, სულაც, შარი მოგდონ და ახალაშენებულ, ევროპული სტანდარტების ქართულ ციხეში გაგამწესონ. მაგრამ მაინც, როდემდე აპირებთ ჭაში ჯდომას და მესიის ლოდინს? არც ფარისევლობაა მაინცდამაინც სანაქებო საქციელი. რასაც თქვენ არ გააკეთებთ დღეს, იმის გაკეთება ხვალ მოუწევთ თქვენს შვილებს. ან, იქნებ, ფიქრობთ, რომ ღარიბ ჟურნალისტებს დასაკარგი არაფერი აქვთ?**

ასეთია კარგად რეკლამირებული „ბიზნესის ხელშეწყობა და ლიბერალიზაცია“ სინამდვილეში.

არადა, თურმე, ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მსოფლიოში მეთერთმეტე ადგილზე ვყოფილვართ! ახლა წარმოიდგინეთ საბრალო საფრანგეთი, რომელიც რანგთა ტაბელში სადღაც კუდში მოგვჩანჩალებს და, რაც მთავარია, არც კახა ბაინდურაშვილი ჰყავს, არც კახა ბენდუქიძე და არც იულონ გაგოშიძე!

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფინანსთა მინისტრის აგდებული დამოკიდებულება ადამიანებისადმი (რომლებიც არიან ამომრჩევლები!). ეტყობა, ნორჩმა მინისტრმა ჯერ არ იცის, ვინ უხდის ჩვენი პიროვნებისთვის მეტისმეტად სოლიდურ ხელფასს — ხელფასს მინისტრებს ვუხდით ყველა ჩვენგანი და, მათ შორის, ბიზნესში დასაქმებული ადამიანები. ამის გარდა, ზრდილობა და თავაზიანობა მოეთხოვება მინისტრსაც კი, თუნდაც იგი თვით მიხეილ სააკაშვილის დანიშნული იყოს. არც იმის დავიწყება ღირს, რომ ამ მზისქვეშეთში მარადიული არაფერია.

**ასეთი საქმეები ოდესმე სტრასბურგის სასამართლოზე უეჭველად გაიმარჯვებს და ჩვენს ღატაკ სახელმწიფოს უსამართლოდ დასჯილთა სასარგებლოდ მათ მიერ გადახდილი თანხის დაახლოებით ოცმაგი ოდენობის დაბრუნება მოუწევს. ისევ ჩვენს ხარჯზე, რასაკვირველია.**

მაგრამ მათ ჯერ ქართული სასამართლოს ყველა ინსტანცია უნდა განვლონ. თუ ჩვენი სასამართლო სისტემის გაჯანსაღებაზე აშშ და ევროკავშირის კატეგორიულ მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, ბიზნესმენთა მდგომარეობა არცთუ უიმედოა — სასამართლომ, შესაძლოა, გააუქმოს ფინანსთა სამინისტროს თეთრი ძაფით ნაქსოვი აბლაბუდა. მით უფრო, გვაქვს პრეცედენტიც — ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომელმაც ბათილად სცნო ფინანსთა სამინისტროს აჭარის რეგიონული სამსახურის გადაწყვეტილება ფირმა „დულაბისთვის“ 89 048 ლარის დაკისრებაზე; და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, რომელმაც ძალაში დატოვა ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილება.

კაცი იმედით ცხოვრობს.

**თეიმურაზ ქორიძე**

ინფორმაცია

## მსჯავრდებულებს შვებულებებში გასასვლელად თავდებში უდგებიან

**მსჯავრდებულთა შვებულებებში გასვლის პროცესში საზოგადოება ერთვება. კერძო კომპანია „მეგაფუდი“ პირველია, რომელიც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივას გამოეხმაურა და გუშინ №3 დაწესებულების მსჯავრდებულს თავდებში დაუდგა.**

**მსჯავრდებული, რომელიც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, 3 დღის განმავლობაში ოჯახთან ერთად იცხოვრებს, რის შემდეგაც დაწესებულებაში დაბრუნდება.**

**მსჯავრდებულის მხრიდან შვებულების პირობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა, 10 ათას ლარიანი ჯარიმა კომპანია „მეგაფუდ“-ს დაეკისრება.**

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ „მეგაფუდის“ მაგალითს სხვა კომპანიები და საზოგადოების წარმომადგენლებიც მიბაძავენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ხმა ამოვიღოთ, ქართველნო!



# თუ ერი ვართ და არა უსახური ბრბო,

## „თავისუფლების ინსტიტუტს“ და კმარელ თეას ეს არ უნდა ეპატიოთ!

**არა, ამის მოთმენა, პატიება და ამისთვის პასუხის მოუთხოვნელობა ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნია!**

**ვინც 18 ოქტომბერს „კავკასიის“ ეთერით ნანა ლეჟავას „კვირის რეპორტაჟს“ უყურა, დამეთანხმება, რომ ძნელია, ნორმალურმა ადამიანმა ამით ბუნებრივად გაჩენილი აღშფოთება და პროტესტი იმ სიტყვებით გამოხატოს, რომელთა დაბეჭდვა გაზეთის ფურცლებზე შეიძლება.**

თუმცა მე როგორმე ვეცდები ამის გაკეთებას, რადგან, ჯერ ერთი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებივით, თუნდაც თეა თუთბერიძესავით, ყველაფრის მკადრებელი არ ვარ და, მეორეც, მათგან და მისგან განსხვავებით მჯერა, რომ სატელევიზიო ეთერი თუ საგაზეთო ქაღალდი ყველაფერს არ აიტანს, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა აიტანოს.

თეა თუთბერიძემ ის არ იკმარა, რომ ინტერნეტით დაუდო სათავე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლანძღვა-გინებას და აღნიშნულ გადაცემაში ნანა ლეჟავასთან ისეთი კომენტარები აკეთა, რომ მთელ საზოგადოებას დაუპირისპირდა იგავამიუწვდომელი უტიფრობით, თავხედობით, ცინიზმით და, რა ვიცი, კიდევ რამდენი დარდუბალათი!

პატრიარქი ღმერთი არ არისო! — წამოტორტლა ამ სოროსის ფულებით ნაკვებ-ნაპატივებმა კმარელმა, და თუ პრეზიდენტზე, რომის პაპსა და სხვა საჯარო პირებზე შეიძლება უხამსი კლიპების გაკეთება, რუსეთის აგენტი საქართველოს პატრიარქი ვინ მიგდიაო, დასძინა.

რა ვქნა ახლა, ამ იელოვას მიმდევარს იმის მტკიცება დავუწყო, რომ, მართალია, პატრიარქი ღმერთი არ არის, მაგრამ ის, ვისაც ღმერთი სწამს, არა თუ იკადრებს იმას, რაც ხლისტების ბუდარიხა თუთბერიძემ იკადრა, არამედ ფიქრადაც არ გაივლებს-მეთქი?

რომც დავუწყო, გაიგებს კი?

სადა ხართ, ბატონო ოპოზიციონერებო, „რედისონში“ რომ შეიკრიბეთ, სადაც თქვენს შემხედვარე ყველა ნორმალურ ადამიანს კრილოვის ერთი ცნობილი იგავ-არაკი გაახსენდებოდა უთუოდ, და იმის მეტი ვერაფერი მოიფიქრეთ, რომ თავდაუსხმელობის პაქტის დადება სცადეთ, როცა პატრიარქს ეს კმარელი თავს ესხმის, რას დადუმებულხართ?




თქვენ ის ხალხი არა ხართ, 26 მაისს მთელი სტადიონის გამავსები ხალხი პროვოკაციულად რომ მიაყენა პატრიარქს? ამაზე მეტი საპროტესტო მიზეზი რაღა გინდათ? მოუწოდეთ ხალხს და ვინ ოხერი არ გამოვა ქუჩაში?

იქვე, იმავე „კვირის რეპორტაჟში“ თუთბერიძე შეაქო და გაამართლა რელიგიის საკითხების „ექსპერტმა“ ბექა მინდიაშვილმა. — ვისაც არ მოგწონთ, სასამართლოში იჩივლეთო! — გვითხრა ამ არაკაცმა.

ჰოდა, კმარელ თეაზე არანაკლებ დამნაშავეები ისინიც არიან, ვინც ამა თუ იმ ფორმით ამართლებს ამ სოროსელ კეკელას, ჩვენ ირანში არ ვცხოვრობთო, შეგვახსენა ამ ლამის წერა-კითხვის უცოდინარმა და სიტყვა „პლურალიზმის“ მოშველიება დააპირა, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოთქვა, ლამის ენა მოიტეხა.

ან სად არიან ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატები? თუნდაც ქრისტიან-დემოკრატები, სად ჩანს მათი ქრისტიანობა? სად არის რეზო ამაშუკელის „ნათლული“ გიორგი თარგამაძე?

არ ვიცი...

ვერაფრით გამიგია, რა ხდება ჩვენს თავს! თუ საქართველო ქვეყანაა და ქართველობას ერი გვქვია, ეს შეურაცხყოფა, თანაც არა მარტო ჩვენი პატრიარქისა, არაფრით არ უნდა შევარჩინოთ თეა თუთბერიძეს და, საერთოდ, „თავისუფლების ინსტიტუტს“!

თუ არადა, მაშინ, თუ ქართველობის არაფერი გვცხია, თუ ერი კი არა, უსახური ბრბო ვართ, როგორც იტყვიან, ჯანდაბამდის გზა გვქონია და ყველაფერი ახია ჩვენზე!

**ყოველგვარი გადაჭარბებისა და ყალბი პათეტიკის გარეშე ვამბობ — პატრიარქი საფრთხეშია! ხმა ამოვიღოთ, ქართველებო, და ერთხელ და სამუდამოდ მივუჩინოთ კუთვნილი ადგილი ყველა ბოროტების სათავე „თავისუფლების ინსტიტუტს“.**

**დავით მხეიძე**

რეგიონი

# ახალციხეში „ქართული აკადემიის“ სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლობა დაფუძნდა

**17 სექტემბერს ახალციხეში დაფუძნდა „ქართული აკადემიის“ სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოთქვეს მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა. აღინიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთში, უმდიდრესი ისტორიისა და კულტურის შემოქმედ მხარეში, დღეს შექმნილია მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარება. არადა საქართველოს ამ კუთხეში და საკუთრივ ახალციხეში არსებობს კულტურისა და განათლების მნიშვნელოვანი კერები: უნივერსიტეტი, თეატრი, მუზეუმი, რომელშიც დაცულია ჩვენი ისტორიისა და კულტურისათვის უხვი და ძვირფასი მასალა და სხვ.**

გარდა იმ მწვავე პრობლემებისა, რომლებიც დღეს აწუხებს მთელს საქართველოს, სამცხე-ჯავახეთში, გამომსვლელთა შეფასებით, არსებობს სპეციფიკური პრობლემებიც, რომელთა დაძლევაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ქვეყნის მომავალი სტაბილურობა და კეთილდღეობა. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა სომხურთან, როგორც რეგიონულ ენასთან, დაკავშირებულ საკითხზე, რომლის გამწვავებაც სიკეთეს არ მოუტანს რეგიონში მცხოვრებ არც ქართულ და არც სომხურ მოსახლეობას. პირიქით ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ინტერესთა დაცვა და მისი სრულფასოვან უფლებებში აღდგენა იქნება საწინდარი ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი გაუგებრობების ლიკვიდაციისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების გარშემო ადგილობრივი მოსახლეობის კონსოლიდაცია-ინტეგრაციისა.

„ქართული აკადემიის“ სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლობა, პირველ რიგში, ყურადღებას გაამახვილებს სამეცნიერო, საგანმანათლებლო (მათ შორის, სასკოლო-საგანმანათლებლოძ და სახელოვნებო კერებში არსებულ პრობლემებზე და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რეგიონის საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

**„ქართული აკადემიის“ პრესცენტრი**

შინაური მღვდლის სინდრომი



გვესაუბრება პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის პროექტის ავტორი, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი.

# პრეზიდენტის რეზიდენციის პროექტის ქართველი ავტორი იტალიელი არქიტექტორისგან შეცდომის აღიარებას მოითხოვს!



მიკელე დე ლუკი

**მიკელე დე ლუკი იტალიაშიც არ მუშაობს არქიტექტორად. დიზაინერია და აი შედეგიც: ჩამოვიდა და გააფუჭა შენობა.**



**— როგორ გახდით პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის შენობის ავტორი? იყო თუ არა საუკეთესო პროექტზე რაიმე სახის კონკურსი გამოცხადებული?**

— ეს ძალიან მარტივად მოხდა. ბატონი მიხეილ სააკაშვილი სახელოსნოში მესტუმრა. იმ დროისთვის მე უკვე მქონდა გაკეთებული „საქართველოს სახლის“ შენობა, მხოლოდ მაშინ მას თავზე გუმბათი არ ედგა. სააკაშვილს ის ძალიან მოეწონა და მოინდომა, იქ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია გამხდარიყო. როცა ოფიციოზის რიტუალების ჩატარების ადგილი დაპროექტდა, თავზე გუმბათიც მაშინ დაედგა. ძირითადი შენობა ჩემი ზედამხედველობით აშენდა, მაგრამ შემდეგ უკვე ჩემს მაგივრად იტალიელი არქიტექტორი ჩამოიყვანეს და როცა გადაკეთება დაიწყო, მე ამ პროცესში მონაწილეობა არ მიმიღია. უფრო სწორად, არ მქონდა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო.

**— და დასრულებული სახე რეზიდენციას უკვე იტალიელმა მიკელე დე ლუკიმ მისცა. მას შემდეგ, რაც იტალიელი არქიტექტორი საქართველოში ჩამოვიდა, მშენებლობაზე აღარ მისულხართ. ბოლოს შენობის არქიტექტორადაც ის დასახელდა. რატომ მოხდა ეს?**

— მას შემდეგ, რაც ის იტალიელი ჩამოიყვანეს, მე აღარ დამიძახეს. მეტიც, ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში „კურიერზე“ შენობის არქიტექტორად სწორედ ის დასახელდა და არა მე. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი გულისტკივილი და პროფესიული პასუხისმგებლობა დავაფიქსირე. ახლა დროებით არაფრის დამატება არ მინდა, ველოდები რეაქციას იტალიელი არქიტექტორისგან, რომელმაც შენობის ავტორობა დაიბრალა. მე ვიცი, რომ ის მოპატიჟებული იყო, მხოლოდ და მხოლოდ როგორც დიზაინერი, მაგრამ მისი საუბრიდან ცხადი გახდა, რომ პრეტენზიას ავტორობაზეც აცხადებს. საუბარი მართალია, შეიძლება, არასწორადაც ყოფილიყო თარგმნილი, მაგრამ მისი მოქმედება ამას ადასტურებდა. ტელეგადაცემა დაიწყო იმით, რომ იგი იჯდა და ხატავდა რეზიდენციის შენობას. რაც შეეხება ჩემს პრეტენზიებს მის მიმართ, ისინი კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ შენობა არაპროფესიული არქიტექტურული საქმიანობით არის გაფუჭებული. კერძოდ, ეს ეხება ატიკის სარჩულის არქიტექტურას და განსაკუთრებული სტუმრებისთვის შესასვლელ პანდუსებს, რომელიც მან მოანგრია. ამ მხრივ მისი ჩარევა სრულიად გაუმართლებელი იყო. მე ველოდები მის რეაქციას და აქედან გამომდინარე, ჩემი შემდგომი მოქმედებაც დაიგეგმება. არქიტექტორთა მსოფლიო ბიენალეზე ვაპირებ ეს საკითხი გავახმაურო, რათა მომავალში არც ერთმა ჩვენმა კოლეგამ, უცხოელებმა მით უმეტეს, არ იფიქროს, რომ ის არის ისეთ ქვეყანაში, სადაც ბაიბურში არ არიან რა არის არქიტექტურა და შეუძლიათ, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ. არსებობს პროფესიული ეთიკა, რომლის დაცვა აბსოლუტურად ყველას ევალება.

**— და როგორ ფიქრობთ, რატომ ჩამოგაცილეს საქმეს? უკავშირდება თუ არა ეს თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს (ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, ძმისშვილის, ირაკლი ბათიაშვილის დაკავების საქმე, „ქართული აკადემიის“ საქმიანობა და ა.შ.)?**

— ვრცელ ინფორმაციას ამის შესახებ მხოლოდ იტალიელი არქიტექტორის რეაქციის გაგების შემდეგ მოგაწვდით. ამ ეტაპზე პოლიტიკაზე აქცენტირება არ მსურს. დასკვნების გაკეთება ჩემი თანამემამულეებისთვის მიმინდვია. არ მინდა ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე, რომელიც უშუალოდ პროფესიულ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული. როდესაც ეს უკანასკნელი დალაგდება, მერე ვისაუბრებ. როგორც ჯენტლმენი, იტალიელ არქიტექტორს კიდევ მცირეოდენ დროს ვაძლევ, რეაგირება მოახდინოს.

ჩემი სახელი და გვარი ცნობილია საქართველოში და ევროპაშიც. რაც რეგალიები მაქვს, სულ საზღვარგარეთაა მიღებული. ჩემი ყველა მოქმედება და განცხადება ცნობილი ხდება საზოგადოებისთვის. ვილაცისთვის იგი მიუღებელია, ვილაცისთვის — მისაღები. მე პოლიტიკური განცხადებებით არაერთხელ გამოვსულვარ, თუმცაღა ხელოვნებას ამ სარჩულს არ ვუდებ. საქმე ის არის, რომ არქიტექტურა კალიგულას დროსაც, შემდგომშიც, ჰიტლერისა და სტალინის მმართველობის პერიოდშიც იქმნებოდა და ა.შ. უფრო მეტიც, იგი ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მოწინააღმდეგეების მიერ იქმნებოდა. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო არქიტექტორ ნიმაერის შემოქმედება ბრაზილიაში. იგი კომუნისტი იყო, ბრაზილია კი არ იყო კომუნისტური ქვეყანა. ნამდვილი არქიტექტორის მოვალეობაა ისეთი რამის შექმნა, რაც ქვეყნის კულტურის განვითარების ხელშემწყობია ან კულტურის გენერატორია და ის, თუ ვინ მართავს ამ დროს ქვეყანას, მეორეხარისხოვანია. არ მაქვს სურვილი, ხელოვნება პოლიტიკური მრწამსის საკითხებში ავურიო, თუმცა გარკვეული გავლენა ამ ორი სფეროსი ერთმანეთზე, რა თქმა უნდა, არსებობს. კომუნისტების დროს ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციას ჩავუყარე საფუძველი, ჩემს მიერ რეაბილიტირებულია შარდენის ქუჩიდან მოყოლებული, სიონის სანაპირო და სხვა ისტორიული უბნები. იმის გამო, რომ კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელი არ ვიყავი, ეს საქმე არ გამეკეთებინა ჩემი ქვეყნისთვის?! მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. მე თავად ვიდექი რუსთაველზე, რომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია დავაპროექტე. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მიხაროდა, რომ ქვეყანაში ძვრა მოხდა. დღეს ჩემთვის გულსატკენია ის, რომ თურმე, მე რეზიდენციის შენობის დამპროექტებელი არ ვყოფილვარ. თუმცა შთამომავლობას დარჩება, რომ ეს გიგა ბათიაშვილის შემოქმედების შედეგია და ამას ვერც ის იტალიელი წაშლის და ვერც ვინმე სხვა.

**— მაშასადამე, თქვენი საავტორო უფლებები დაირღვა?**

— რა თქმა უნდა! საბედნიეროდ, მე მაქვს საავტორო უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც არქივშიცაა დაცული. ბევრი რამე მიჩუქებია სახელმწიფოსთვის და შემიძლია, ესეც ვაჩუქო, აქ ფულზეც არ არის ლაპარაკი, მაგრამ მე ამ ეტაპზე საავტორო უფლებებზე მეტად, პროფესიული ეთიკის საკითხი მაწუხებს. არც ერთ ჩემს მოწაფეს არ მივცემ უფლებას, თავისი კოლეგის მიმართ პროფესიული ეთიკის ნორმა დაარღვიოს, გინდ ბანგლადეშელი იყოს ის კოლეგა, გინდ პარიზელი. ასევე არ დავუშვებ, ეს საქმე გაუხმაურებელი დარჩეს. მთელი მსოფლიოს არქიტექტორთა კავშირს გავაგებინებ, რათა ხელმეორედ მსგავსი რამის გაკეთების უფლება თავის თავს არავინ მისცეს.

**— აპირებთ თუ არა, სასამართლოს მიმართოთ?**

— ესეც მიკელე დე ლუკის რეაგირება-არრეაგირებაზეა დამოკიდებული. ორი წელია, ჩამოსულია საქართველოში და თვენახევარი, რაც ტელევიზიით გამოვიდა და შექმნა შთაბეჭდილება, რომ ის არის შენობის ავტორი, ვინაიდან იჯდა და ხატავდა ჩემს პროექტს, ვითომ მისი შემოქმედება ყოფილიყო. მერე კი წამოსცდა, „მე რომ ჩამოვედი, ეს გუმბათი დამხვდა და რა კარგიაო“. ის კი არ უთქვამს, რომ რადგან დახვდა, შენობა ვილაცის დაპროექტებულია. თავისით ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა?! ისევე, როგორც ბავშვს, პროექტსაც ჰყავს თავისი მშობელი. ეს ძალიან მარტივია — მე თუ შემთხვევით ფეხზე დაგაბიჯეთ, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს არც ერთ კანონში არ წერია.

**—მაშასადამე, მიკელე დე ლუკისგან, როგორც მინიმუმ, ბოდიშის მოხდას ითხოვთ პროფესიული ეთიკის დარღვევისთვის...**

— პირველ რიგში, შეცდომის აღიარებას ველი და მთელი მსოფლიოს არქიტექტორებისადმი მოწოდებას, რომ მსგავსი შეცდომა არავინ დაუშვას. ყველას, იქნება ეს ჩიკაგოელი თუ იაპონელი არქიტექტორი, რომელიც, მე იმედი მაქვს, ასეთ სისულელეს არ გააკეთებს, მაგრამ მაინც მოუწოდოს, რომ შემთხვევით თუ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში ჩასვლა და უკვე გამზადებულ შენობაზე მუშაობა მოუწევთ, გამოიჩინონ მოქალაქეობრივი სინდისი და პირველ რიგში, შეხვდნენ ავტორს და გაესაუბრონ მაინც, მიიღონ მისგან დალოცვა და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელონ საქმე.

**— სახელმწიფოს, ანუ დამკვეთს ამ შემთხვევაში თქვენთვის აზრი არ უკითხავს?**

— ეს კიდევ მეორე საკითხია. არის ასეთი მცნება, მართალია, რუსული არ არის მოდაში, მაგრამ მაინც: „ხოზიაინ — ბარინ“, ან კიდევ „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“. თუ დამკვეთს შუა გზაში სხვა რაღაცა მოუნდა, უკვე მისი საქმეა, ისევ მე მომმართავს, თუ სხვას, მაგრამ ის სხვა წინამორბედთან შეუთანხმებლად ასეთ საქმეში არ უნდა ჩაერთოს.

**— იყო რამე ტექნიკური პრობლემა, რომელსაც თქვენ ვერ გადალახავდით? ანუ, რატომ გახდა საჭირო უცხოელი არქიტექტორის ჩამოყვანა?**

— ასეთი სახის პრობლემა არ არსებობს, თეორიულ დონეზეც კი. თუმცა არის ერთი პრაქტიკული პრობლემა, რომელსაც ვერც იტალიელი არქიტექტორი გადაჭრის და ვერც ვერავინ ქვეყანაზე. თბილისის ჰაერს მტვერი მოჰყვება, რომელიც შემდეგ შუშაზე ჯდება და თუ ის არ გაირეცხა, იქნება ჭუჭყიანი, მორჩა და გათავდა. შესაბამისად, შენი არქიტექტურაც ისე უნდა ააგო, რომ ეს არ იქცეს პრობლემად და შუშა გასაწმენდად ადვილი მისადგომი იყოს. ეს ჩემს პროექტში გათვალისწინებული იყო და ამის გამო არ არის აუცილებელი არქიტექტორის იტალიაში და საფრანგეთში ძებნა. 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში არქიტექტურის პროფესიული სკოლები გაიხსნა, უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა არქიტექტორმა გაითქვა სახელი მსოფლიოს მასშტაბით. მე ყოველწლიურად ვესწრები კონგრესებს, რომელიც ახალგაზრდა არქიტექტორთა კონკურსებსაც მოიცავს და იქ ქართველები ყოველთვის დიდ წარმატებას აღწევენ. უნიჭიერესი არქიტექტორები გვყავს, შეგვიძლია, იქით „გავასესხოთ“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა ჩამოვიყვანოთ, ვთქვათ, ისეთი სახელგანთქმული არქიტექტორი, რომელსაც თავისი სიტყვა ეთქმის ხელოვნებაში, მაგალითად, როჯერსი, თუ, რა თქმა უნდა, აქ ჩამოსვლას დასთანხმდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვჭირდება არაპროფესიონალები. მიკელე დე ლუკი, იტალიაშიც არ მუშაობს არქიტექტორად, დიზაინერია და აი შედეგიც: ჩამოვიდა და გააფუჭა შენობა.

**— შეგიძლიათ, გვითხრათ, რა თანხები დაიხარჯა ამ რეზიდენციის მშენებლობისთვის?**

— არ ვიცი, ეს ჩემი საქმე არ არის.

**— და პროექტით რამდენი იყო გათვალისწინებული?**

— პროექტში შეიძლება, გათვლილი იყოს 5 და რეალურად დაიხარჯოს 100. ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

**— და რამდენი იყო გათვლილი პროექტით?**

— იცით, ეს ძალიან დელიკატური საკითხია. არ მინდა, ვინმეს ტვირთი ავკიდო...

**— ბოლო პერიოდში დიდი ხმაურია ატეხილი ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის ირგვლივ. ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ისტორიული ძეგლის რკინა-ბეტონის კონსტრუქციით გამაგრება არ შეიძლება. თქვენ რას ფიქრობთ ?**

— ამასთან დაკავშირებით ჩემთვის ყველაზე მისაღებია და მომწონს საპატრიარქოს პოზიცია, რომ დროებით, ვიდრე ბოლომდე არ ჩამოვყალიბდებით იმაზე, თუ რა გვინდა და რა უნდა გაკეთდეს, თავი შევიკავოთ ამ სამუშაოების წარმოებისგან. უწმინდესი და უნეტარესი გონიერი ადამიანია და მისი გადაწყვეტილება უნდა გავითვალისწინოთ.

**ნინო ჩიჩუა,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

## ევროპელთა თვალით

# იარომირ შტეტინა: საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის გულგრილობის მწარე გაკვეთილი გახდა... ირჟინა შიკლოვა: ევროპას რუსეთის ეშინია...

**პრაღა და მისი ბინადარნი ჩემი დიდი ხნის სიყვარულია. ამიტომ შარშან, ტრაგიკულ აგვისტოში, პირადად ჩემთვის ორმაგად მტკივნეული და „გაუგებარი“ იყო ჩეხეთის პრეზიდენტის ვაცლავ კლაუსის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი ამ ომში მხარს რუსეთს უჭერს. ვაცლავ კლაუსი ვაცლავ ჰაველი არაა. თუმცა პრაღაში კი ცხოვრობს.**

ჩემი ეს გულისტკივილი ჩეხეთის სენატის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრ იარომირ შტეტინას გავუზიარე. მას საქართველოში მეგობრებიც ჰყოლია და, ამიტომ, და არა მარტო ამიტომ, შარშან, აგვისტოში საქართველოში ჩავიდა და ახალ დევნილებსაც შეხვდა. 1990-იან წლებში იარომირ შტეტინა სსრკ-ში, რუსეთის ფედერაციაში აკრედიტებული ჟურნალისტი გახლდათ და იქ მანამ მუშაობდა, სანამ კრემლმა იგი „პერსონა ნონ გრატად“ არ გამოაცხადა. შტეტინას კავკასიის ყველა ცხელი წერტილი აქვს მოვლილი: ყარაბახი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომები. შარშან, 7-8 აგვისტოს, იგი პრაღიდან თურქეთში გადაფრინდა, გაიარა ბათუმი, ქუთაისი, გორი და თბილისში ჩავიდა. გორში თავისი თვალით ნახა ქალაქის დაბომბვა. ხვდებოდა პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის, Human Rights Watch-ის წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ რუს ჟურნალისტებს. უნდოდა თავად გაეგო, სინამდვილეში რა ხდებოდა, გულმა არ მოუთმინა, იქ ხომ ჩემი მეგობრები არიანო.

**არადა, პირველი დღიდანვე ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია, ბოროტი ქართველები მძინარე ცხინვალს ბომბავდნენ და 2 ათასი ოსი მოკლესო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს წმინდა წყლის პროპაგანდა იყო. მე მინდოდა ამ სიცრუის სააშკარაოზე გამოტანა და უკუგდება, — თქვა ბატონმა იარომირმა.**

**მე მას ვაცლავ კლაუსის „დაუვიწყარი“ ფრაზა გავახსენე. ვკითხე, რა სარგებელი ნახა კლაუსმა, როცა პუტინს მხარი დაუჭირა-მეთქი?**

— მე ვერ შევაფასებ კლაუსის სიტყვებს, თუმცა ვიტყვი, რომ, როცა აგვისტოში საქართველოში გახლდით, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვების მრცხვენოდა. ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციას ჩეხეთის მთავრობა ტოპოლანეკის მეთაურობითა და საგარეო საქმეთა მინისტრი შვარცენბერგი გამოხატავდნენ და ამ ომის მათეული შეფასება კლაუსის შეფასებისგან ძირეულად განსხვავდებოდა.

რუსეთი მთელს კავკასიას თავის ტერიტორიად თვლის და მისი იმპერიალისტური „კონცეპტი“ კვლავ ძალაშია, საქართველო კი საერთაშორისო თანამეგობრობის გულგრილობის მწარე გაკვეთილი გახდა. ამერიკასა და ევროპას ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევებზე ხმა დროზე რომ ამოეღო, 2008-ში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა შეუძლებელი იქნებოდა. მე 1968 წლის ჩეხეთსა და 2008-ის საქართველოს შორის ბევრ პარალელს ვავლებ. სამწუხაროდ, ისევ დასტურდება, რომ რუსეთს პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა უტანკოდ არ შეუძლია.

**— ამას მთელი ევროპა აღიარებს, მაგრამ რეალურად არაფერი შეუძლია.**

— აშშ-ს უფრო პრინციპული პოზიცია შეუძლია დაიკავოს, რადგან იგი რუსეთის ენერგორესურსებზე არაა დამოკიდებული. ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ რუსეთთან თანამშრომლობა გვინდა, მას სიმართლე პრინციპულად უნდა ვუთხრათ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. აგვისტოში განხორციელდა ნამდვილი აგრესია დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამას ყირიმის დაპყრობა შეიძლება მოჰყოლოდა. ის კი არა, რუსეთის იმპერიული ინტერესებიდან ჩეხეთიც ვერ გამოსულა. რუსეთის შიში არ უნდა გვქონდეს. უნდა გვეშინოდეს იმისი, რაც მის შიგნით ხდება, ანუ უნდა ვფიქრობდეთ რუს ხალხზე, რა ხდება მათ თავს, თავისი ქვეყნიდან რატომ გარბიან. ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, დემოკრატიული სახელმწიფოს გემბანზე ვიმყოფებით. ამიტომ რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმა ზოგადად სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობის იდეაზე თავდასხმად უნდა იქნეს განხილული.


იარომირ შტეტინა


ირჟინა შიკლოვა

* * *

ჩეხეთში ვერ იპოვით ადამიანს, ვინც ირჟინა შიკლოვას არ იცნობს: ცნობილი სოციოლოგი, კარლოვის უნივერსიტეტის პროფესორი და სოციალური მუშაკის კათედრის დამაარსებელი, ვაცლავ ჰაველის თანამებრძოლი, დისიდენტი, ადამიანის უფლებების ცნობილი დამცველი და ჩეხეთში ქალთა მოძრაობის ინიციატორი. ვაცლავმა და მისმა დამხმარე ირჟინამ ერთმანეთი მხოლოდ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნახეს. მე მას 1968 წლის გახსენება ვთხოვე.

— მე, ჩემს მეგობარ სტუდენტებთან ერთად, „კომუნიზმის რეფორმისთვის“ ვიბრძოდი. არ გვეგონა, სსრკ ჩეხეთში ინტერვენციას თუ გაბედავდა, რადგანაც ვთვლიდით, რომ საბჭოთა კავშირისთვის ასეთი მნიშვნელოვანნი არ ვიყავით. ეს იყო ნაღვილი შოკი. იმ დროისთვის ჩვენ არ ვიყავით ორგანიზებული და თანაც ნორმალური კავშირებიც არ გვქონდა. თუმცა მაინც შევძელით საპროტესტო პროკლამაციების დარიგების ორგანიზება იმ ჩვენს ტურისტებს შორის, რომლებიც იუგოსლავიაში იმყოფებოდნენ. ეს იყო დასვენების პერიოდი და თანაც იუგოსლავიაში იმყოფებოდა. პროკლამაციები ჩვენს საელჩოებსაც დაეგზავნათ. 1969-1989 წლებში მე გახლდით საკონტაქტო პირი, ერთგვარი „საფოსტო დედა“ და მკაცრად გასაიდუმლოებულ რეჟიმში საზღვარგარეთ ნაწერებსა და ტექსტებს ვაგზავნიდი. ამ ნაწერებს შორის ვაცლავ ჰაველის წერილებიც იყო. ციხეში, დევნილობაში და გარეთ მყოფთ შორის კავშირს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი, ვინც უცხოეთში იყვნენ, თარგმნიდნენ ტექსტებს, წიგნებს, აქვეყნებდნენ საზღვარგარეთ, რათა მსოფლიოს დაენახა — ჩეხი ხალხი არ ეთანხმებოდა სსრკ-ის მიერ ქვეყნის ოკუპაციასა და კომინისტურ მთავრობას.

**— როცა ქვეყანას წინააღმდეგობის ასეთი გამოცდილება აქვს, მისი პრეზიდენტი როგორ უნდა ამართლებდეს სხვისი ქვეყნის დაპყრობას?**

— ვაცლავ კლაუსი ეკუთვნის მის მიერვე დაარსებულ პოლიტიკურ პარტიას „სამოქალაქო დემოკრატიული პარტია (ODSძ. თავად კი ნარცისისტია. იგი თვლის, რომ პარტია მისი საკუთრებაა, რომელმაც იგი პრეზიდენტის სავარძელში „ჩასვა“... ახლა კი ძალიან ხშირად კლაუსი „თავისსავე“ პარტიის წინააღმდეგ გამოდის. მაგალითად, ODS კი გამოვიდა რუსების მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ, მაგრამ კლაუსმა განაცხადა, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ „რეალობა“ და ა.შ. ვფიქრობ, რომ მას „ოპოზიციაში“ ყოფნა იმისთვის უნდა, რათა სხვებისგან რითიმე განსხვავდებოდეს. იგივე დამოკიდებულება აქვს მას ეკოლოგიის მიმართ. ამბობს, რომ მხოლოდ ბაზარს აქვს მნიშვნელობა და სხვას არაფერს. იგი არაპოპულარული ხდება და თანაც კონსტიტუციის მიხედვით ეს მისი ბოლო საპრეზიდენტო ვადაა. სამაგიეროდ, ჩეხეთის მთავრობამ განაცხადა, რომ გმობს საქართველოს ოკუპაციას. ჩვენ ვიცით, რა შეუძლია რუსეთსა და პუტინს. იგი ხომ სსრკ-ის „ერთ სტრუქტურას“ ეკუთვნის. თუმცა ახლა იგი რუსეთის „თავი“ აღარაა, მაგრამ მისი გავლენა საკმაოდ დიდია და ის საშიში პიროვნებაა.

**— ევროპისგან საქართველო უფრო მყარ მხარდაჭერას ელოდა...**

— ევროპას რუსეთის ეშინია. ჩვენ (ამჟამად ევროკავშირიძ სხვადასხვა შეცდომებს ვუშვებთ. თანაც იმდროინდელს, როცა 1939-40 წლებში რიბენტროპის ვერსიით და მოლოტოვის თანხმობით ჰიტლერსა და საბჭოთა კავშირს შორის კოლაბორანტული კავშირი დაიდო. ეს იყო ჰიტლერისა და სტალინის ანტიდასავლური შეთანხმება. მე ჩინეთში ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგიც ვიყავი, საორგანიზაციო კომიტეტიც კი შევქმენით... მაგრამ საუბედუროდ, „ბიზნესი ბიზნესია“... 2008 წლის 1 სექტემბერს პრაღის ვენცესლაუსის მოედანზე, ასევე ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა ბრნო, პლზენი და სხვა, მოეწყო თქვენი ლამაზ დროშებიანი, საქართველოს მხარდამჭერი აქციები. რასაკვირველია, ყველა ეს დემონსტრაცია ტელევიზიით გაშუქდა. მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს არ ეყოლება სსრკ-ის, უკაცრავად, რუსეთის „მთავრობა“. ჩეხეთიდან საბჭოთა ჯარები 22 წლის შემდეგ გავიდნენ... ისინი შემოიჭრნენ 1968 წლის აგვისტოში და ჩვენი ქვეყანა 1990 წლის ივნისში დატოვეს. დიდი დროა, მაგრამ არასამუდამო. ახლა მოვლენები გაცილებით სწრაფად ვითარდება და იმედი მაქვს, რომ საქართველოს ოკუპაცია დიდი ხნით არ გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მინდა. თქვენთან მიგულეთ.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი-პრაღა**

## მოსაზრება

# გვიკვირს რუსული პოლიტიკა?

*ჩვენი სამყარო ძალთა პოლიტიკური სამყაროა.*
*კისინჯერი.*

**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ეპოქის განგაში არის შიში ძალადობის წინაშე, ღირებულებათა საზრისის არარსებობა. ძალადობამ მოიცვა მსოფლიო. ძალადობა გახდა ეპოქის რიტორიკა, ყოფიერების ძირითადი კანონი. დღევანდელი მსოფლიო თავისი პოლიტიკით, ულტრანაციონალისტური, რადიკალური იდეოლოგიის არნახული აღზევებით, ტოტალიტარიზმით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, საფრთხეს უქმნის მსოფლიოში დემოკრატიულ ფასეულობებს, ისტორიის პროგრესულ განვითარებას.**

მსოფლიო გადაიქცა ძალადობის უკიდეგანო სცენად, სადაც ერთმანეთს ცვლიან მოქმედი პირნი სხვადასხვა დროისა, ძალაუფლების სენით დაავადებულნი, ბატონობის ჟინით შეპყრობილნი.

რუსეთის პოლიტიკა მისი ისტორიის მანძილზე იყო და არის პოლიტიკა ბატონობისა. ამის შესახებ სწორად აღნიშნავს მერაბ მამარდაშვილი: „В росийской истории есть долгодействующая сила, губительная... перед которой можно оказаться виновным, _ это Государь император“.

სამწუხარო და გასაკვირია — ისეთი დიდი მწერალი, როგორიც დოსტოევსკია, დაავადებულია იმპერიული სულით. იგი წერს: „კონსტანტინოპოლი ადრე თუ გვიან უნდა იყოს ჩვენი, ისეთ გოლიათს, როგორიც რუსეთია, უნდა ჰქონდეს გასასვლელი სივრცეში, ისუნთქოს ზღვათა და ოკეანეთა ჰაერით“.



ტყუილის, უზნეობის, კაცთმოძულეობის საშინელი ტალღა ააგორეს რუსმა პოლიტიკოსებმა ჯერ კიდევ „კურსკის“ დაღუპვასთან დაკავშირებით. ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა დაემართა „კურსკს“, რუსეთის პრეზიდეტი სახეზე ღიმილით პასუხობს, ჩაიძირაო. ეს ღიმილი საშინელი დაცინვა იყო დაღუპულთა, თავისი მოქალაქეების მიმართ. განა დანაშაული არ არის, როცა პირტიტველა ახალგაზრდებს, რომელთაც იარაღის ტარებაც კი არ იცოდნენ, საზარბაზნე ხორცად აგზავნიან ავღანეთსა და ჩეჩნეთში, რამდენი თავისი ქვეყნის მოქალაქე გაწირეს „ნორდოსტში“, ბესლანში, როგორ აფეთქებდნენ სახლებს რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში... და ამის შემდეგ გვიკვირს რუსული პოლიტიკის დამოკიდებულება ჩვენდამი და, საერთოდ, სხვათა სახელმწიფოებისადმი?

მთელმა მსოფლიომ იცის, თუ როგორია რუსეთის პოლიტიკა. ჯერ კიდევ ჩაადაევი წერდა, რომ რუსებმა დაანახეს მსოფლიოს, თუ რა ცუდები არიანო.

რა უნდა დავუპირისპიროთ რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას? არაპროფესიონალიზმი, დილეტანტიზმი, დიპლომატიის სრული არარსებობა?

ჩვენს ე. წ. პოლიტიკოსებს არ ესმით და არც სურთ გაიგონ დიპლომატიის ენა. მათ არ იციან, რომ ყოყლოჩინობა, ბაქიობა, გმირობანას თამაში სრულიად არ ნიშნავს დიპლომატიაში სწორი, მტკიცე პოზიციის დაცვას. ულირს ოპონენტსაც კი თავდაჭერილობით, დიპლომატიური ენით, ეთიკური ნორმების, ჩვენივე ღირსების დაცვით უნდა ვესაუბროთ და ამით ვაიძულოთ ღირსეულად მოიქცნენ („ნუ მიაგებთ ლანძღვას ლანძღვის წილ“. — მოციქულ პეტრეს წერილიდანძ.

აუცილებელია წარმოვაჩინოთ ჩვენი არგუმენტები დიპლომატიური ფორმით, არ მივიღოთ ნაჩქარევი დადგენილებანი, მოვახდინოთ ღრმა დასაბუთება ჩვენი სამართლიანი წინადადებების.

როგორც წარსულის, განსაკუთრებით დღევანდელობის სწორი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად არის მომავლის ხედვა. სწორი გადაწყვეტილებების მიღების საქმეში უდიდესი როლი ენიჭებათ ქვეყნის ლიდერებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს. სამწუხაროდ, ჩვენი რევოლუციონერ-პოლიტიკოსების არაპროფესიონალიზმს, პოლიტიკურ და დიპლომატიურ სიბეცეს, გაუწონასწორებელ ქმედებებს, დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს ეწირება ჩვენი მოქალაქენი, იკარგება ქვეყნის ტერიტორიები. სწორი პოზიციების არჩევა, ეთიკური აზროვნება, დიპლომატიური პოლიტიკა და საერთოდ დიალოგის ფილოსოფია არის გადამწყვეტი და ერთადერთი მშვიდობიანი გზა სახელმწიფოთა ურთიერობის სფეროში, რომელიც, მართალია, არცთუ ისე ადვილია, მაგრამ აუცილებელია ისეთ არასანდო უახლოეს მეზობელთან, როგორიცაა რუსეთი.

**ლონდა მდივანი**

◉ რაც კარგია, კარგია!



იევიჩკოსა და აბაშის თავკაცები — რომან მილერი და გურამ გუნავა.



აბაშელთა თვითმოქმედი ახალგაზრდული ანსამბლი.

# აბაშა და იევიჩკო დამეგობრდნენ...

„დიდუბე-პლაზას“ ვრცელ ეზოში გამართულმა სახალხო ზეიმმა — აბაშისა და ჩეხეთის ქალაქ იევიჩკოს დამეგობრებას რომ მიეძღვნა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: უჩვეულოდ მზიანმა, თბილმა ამინდმა, სახელდახელო სცენაზე ჩეხეთისა და საქართველოს შემოქმედებითი კოლექტივების მონაცვლეობამ, აბაშის სოფლებში მოწეული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვამ, ასე ნაქები ჩეხური ლუდის ფესტივალმა და ქაფქაფა სასმელის „ყლაპვაში“ უშეღავათო შეჯიბრებამ, სპორტულმა პაექრობებმა და ბოლოს... უგემრიელესი ელარჯით და ციკნის მწვადით დამშვენებულმა უანგარო, „საქველმოქმედო“ პურმარილმა, განსაკუთრებული პეწი და ლაზათი შეჰმატეს შემოდგომის იმ მადლიან დღეს.

აბაშისა და იევიჩკოს დამეგობრების ოფიციალური ცერემონია წინა დღით, 16 ოქტომბერს შედგა დედაქალაქის მერიაში. დოკუმენტს ხელი მოაწერეს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა **გურამ გუნავამ** და იევიჩკოს მერმა ბატონმა **რომან მილერმა.** როგორც ჩვენი ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მუდამ სიკეთისთვის, საქვეყნო საქმისთვის შემართული კაცი გურამ გუნავა გვარწმუნებს, ამიერიდან ჩეხეთისა და საქართველოს ამ უძველეს, კოლორიტულ რეგიონებს და მის უბრალო, მშრომელ ხალხს, მშვიდობისა და მეგობრობის სახელით დიდი შემოქმედებითი და კულტურული ურთიერთობა ექნებათ.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს მართლაც ასე იქნება.

ზეიმი მშვენიერ „დიდუბე-პლაზაში“ (მადლობა მის ხელმძღვანელებს!) გვიანობამდე გაგრძელდა, ზუსტად ისე, როგორც ქართველებს და... თურმე ჩეხებსაც სჩვევიათ, თუმცაღა, ერთ საინტერესო დეტალს განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება: ჩეხ სტუმრებს და თბილისში მცხოვრებ აბაშელებს თავს დასტრიალებდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების, მედიცინისა და კულტურის სფეროს მუშაკები, რომლებიც არნახული სიფაქიზითა და სიყვარულით დიასახლისობდნენ, მათ შორის იყო რაიონის მთავარი ექიმი ნანა შენგელია, რომელსაც სწორედ იმ დღეს გადაეცა ღირსების ორდენი.



ქართული საჩუქრები რომან მილერს აბაშელებისგან.

ღმერთმა უმრავლოს აბაშას და სრულიად საქართველოს ასეთი ღირსეული მამულიშვილები.



მეგრული ფაცხის წინ.



იყიდება აბაშური პროდუქტი.

...ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა იმ დღეს ათობით და ასობით კადრი გადაიღეს. დღეს მხოლოდ რამდენიმე მათგანს გთავაზობთ.

ღმერთმა მშვიდობა და ბედნიერება ნუ მოუშალოს მრავალტანჯულ ჩეხ და ქართველ ხალხებს, აბაშელებსა და იევიჩკოელებს!

**სპარტაკ ქობულია**

* * *

**მურად ალაშვილის და ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

◉ ქალაქის სატკივარი

# გამზირებიდან ბილიკებზე?..

**საბჭოურ ხანაში ბევრი რამ კარგი კეთდებოდა, როგორც არ უნდა ქილიკობდნენ ხელისუფლებაში შევარდნილი ნაცმოელები, ახალი ერის დასაწყისი 2003 წელი რომ ჰგონიათ. კარგი კეთდებოდა-მეთქი და ერთ მაგალითსაც მოვიყვან: მუხრან მაჭავარიანი (აქვე სათქმელად, უხუთწუთოდ პოეტი-აკადემიკოსი...) კარგ ლექსებს წერდა.**

გამოჩენილი მგოსნის ერთი „კომუნისტური“ ლექსი ასე იწყება (მეხსიერებით „ვციტირებ“ძ:

**კომუნიზმი ამ ვიწრო ქუჩით**
**ვერ შემოეტევა,**
**სახლებმაც იფიქრეს და სახლების**
**პატრონებმაც.**
**ქუჩის დასაწყიში მოდგა კომუნიზმი,**
**ელვის უსწრაფესად ქუჩა ფართოვდება!**

ჰოდა, სამგზის საანათემო საბჭოთა ეპოქაში ქუჩებს აფართოებდნენ, ახლა კი... სანაქებო (ენა ამიბორძიკდაძ ნაცურ პერიოდში ავიწროებენ. წერეთლის გამზირზე მოძრაობისას დიდუბის ხიდთან შეამჩნევდით, ალბათ, შუა ტრასაზე ჩასმულ გრძელ, გაწელილ ელიფსებს, ამაზე გრძელ მართკუთხედს, ვეებერთელა წრეს, იქვე მომცრო სამკუთხედს. ამ ნაირ-ნაირ გეომეტრიულ ფიგურაში ალბათ ყვავილებს, გაზონებს მოაწყობენ თუ ჩააწყობენ, ზიზილ-პიპილებით მორთავენ იქაურობას. საცობებისათვის, საავარიოდ პირდაპირ „სანატორიუმულ“ პირობებს რომ ქმნიან, ამაზე არავინ არ ფიქრობს თბილისის მესვეურთაგან? (სხვათა შორის, აქაც და სხვა „რეფორმირებულ“ ქუჩებსა თუ ადგილებში უკვე იქმნება საცობებიძ.

გზებისას მე ვინ მეკითხება, მაგრამ „მგზავრი ვარ, თქვენზე ფიქრებს ვუნდები“... ერთი ჯაგლაგი, ჯაბახანა ავტოც არასდროს არ მყოლია, ჩემი ხელმარცხიანობით საჭესთან ჯდომას რა გამაბედვინებდა, მაგრამ ავტობუსით ხომ ვმგზავრობ და ამისთანა „საგზაო რეფორმებზე“ დავხუჭო თვალი, როცა სავალი ნაწილი შაგრენის ტყავის დღეში ჩააგდეს?

გზებისას რა მეკითხება-მეთქი, მაგრამ პროფესორ თამაზ შილაკაძეს ხომ ეკითხება, დამსახურებულ ინჟინერსა და გამომგონებელს, საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს!

ვკითხე კიდევაც და აი, რა მიპასუხა:

— გაოცებული და შეშფოთებული ვარ. ეს ყველაფერი, რასაც თბილისის ქუჩებში აკეთებენ გადატვირთულ, დაძაბულ მოძრაობას იწვევს, მძღოლების ფსიქიკაზე მოქმედებს, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რისკს ზრდის... ქალაქი ასეთი „რეფორმებისათვის“ მზად არ არის. ჩვენ თეთრი ხაზის „პრინციპი“ უნდა დავიცვათ სათანადოდ, ამ დაცვას უნდა ვაკონტროლებდეთ, ესეცაა უხიფათო მოძრაობის წინამძღვარი... ზოგიერთ მნიშვნელოვან კვანძს მართლაც სჭირდება გადახედვა და რეკონსტრუქცია, მაგრამ ამას კარგად მოფიქრება და მომზადება უნდა...

...სიჭაბუკეში ძალიან მიყვარდა კალამკურთხეული ნიკო ლორთქიფანიძის პროზა, მახსოვს „ბილიკებიდან ლიანდაგზე“... ახლა რა, პირიქით, ბილიკებს დავუბრუნდეთ? დავიწროებულ ქუჩებში აგრე რეკლამირებული უცხოური ინვესტიციები რომ ვერ შემოეტევა (არაბების, რუსების, თურქების, ჩინელების...ძ, იფიქრეს ამაზე მერიისა და საკრებულოს პატრონებმა?..

**ლუკა გორგაძე**

◉ ინფორმაცია

## რუხში ნაღმი იპოვეს

**გუშინ დილით, ე.წ ადმინისტრაციულ საზღვართან, სოფელ რუხში თენგიზ თორდიას ეზოში „რგდ“-ს ტიპის ნაღმი იქნა ნაპოვნი. ასაფეთქებელი მოწყობილობა ოჯახის უფროსმა შეამჩნია.**

**ნაღმის პოვნის ადგილზე გამნაღმველები, ევროკავშირის წარმომადგენლები და პოლიციელები მივიდნენ.**

**წინასწარი ინფორმაციით, ჭურვი 30 სექტემბერს არის ნასროლი, როდესაც ენგურს გაღმა რუსების საგუშაგოზე ე. წ. გამარჯვების ზეიმი აღინიშნებოდა და რუსი ოკუპანტები ქართული პოლიციის საგუშაგოს მიმართულებით ისროდნენ. ერთ- ერთი ასეთი საგუშაგო სწორედ თორდიების სახლთან ახლოს მდებარეობს.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ხუთდღიანი ომის ერთი წლის შემდეგ

**გაზეთები რამდენიმე მასალას უძღვნიან სიტუაციას სამხრეთ კავკასიაში. ჟენევაში რეგულარულად მიმდინარეობს „საერთაშორისო დისკუსიები“ საქართველოს, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, მაგრამ პერსპექტივები ომისშემდგომი ნორმალიზაციისა ერთგვარად როდია შეფასებული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აქვეყნებენ აფხაზეთის პრეზიდენტის სტატიას და დიდ მასალას მიხეილ სააკაშვილზე.**

„დი გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში პიერ მორელი წერს, რომ ჟენევის მოლაპარაკება ყველა მხარის და შუამავლების მონაწილეობით შედის მეორე ფაზაში. პირველი შვიდი რაუნდის შემდეგ შესაძლებელი გახდა შექმნილიყო პრევენტული რეაგირების მექანიზმი, აგრეთვე კავშირგაბმულობის „ცხელი ხაზი“. მერვე რაუნდიდან, რომელიც 11 ნოემბერს აიღებს სტარტს, ელოდებიან ახალ ხელშეკრულებებს რეგიონში უშიშროების და ჰუმანიტარული საკითხების დარგში.

„საერთაშორისო დისკუსიის“ ჩარჩოში არსებობს ორი სამუშაო ჯგუფი: ერთი უშიშროებისა და სტაბილურობის, მეორე – ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა. მორელი აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორივე ჯგუფის მუშაობაში.

ახალი მერვე რაუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იქნება – ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფა, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი წერს, რომ შუამავლების ვიზიტებმა სოხუმსა და ცხინვალში საშუალება მისცეს მათ, გააკეთონ ერთგვარი გადაფასება უშიშროების განმტკიცების შესაძლო ვარიანტებთან და ჰუმანიტარული ვითარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთს, ადრე თუ გვიან, აღიარებს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, ირწმუნება „ვაშინგტონ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. მას აგრეთვე ეჭვიც არ ეპარება, რომ მის ქვეყანას ელოდება პოლიტიკური და ეკონომიკური აყვავება.

საქართველოს პრეტენზიები მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ბაღაფშის სიტყვებით, ემყარება ულტრანაციონალიზმის იდეებსა და სტალინის გადაწყვეტილებას, რომელმაც 1931 წელს აფხაზებს თავს მოახვია საქართველოსთან კავშირი. მისი აზრით, დასავლეთის ქვეყნების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის მიუღებლობა აიხსნება ცივი ომის პერიოდიდან შემორჩენილი პოზიციით, როდესაც აინტერესებთ მხოლოდ ერთი რამ: „რა არის კარგი და რა არის ცუდი რუსეთისთვის“. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი საქართველოს პოლიტიკის მხარდაჭერით აფხაზეთის იზოლაციასთან დაკავშირებით თავად უბიძგებენ მას რუსეთისკენ, მიუთითებს ბაღაფში.



ჟურნალი „ტაიმი“ აქვეყნებს ნათან ტორნბურგის მასალას, რომელიც ამას წინათ სააკაშვილის სტუმარი გახლდათ. „ჩემი ვიზიტის დროს სააკაშვილმა მოაწყო გასაოცარი გაქანების „შოუ“: მას სურს ბევრი რამის დადასტურება“, – წერს ავტორი და განმარტავს, რომ ევროკავშირის კომისიის მოხსენება რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შესახებ, სახიფათოა სააკაშვილის დიდი პროექტისთვის – მისი ძალისხმევისთვის დაარწმუნოს დასავლეთი, რომ საქართველო საიმედო მოკავშირეა სამხედრო სფეროსა და ეკონომიკაში“.

სააკაშვილს არ დაუკარგავს კომუნიკაბელობის თავისი კოლოსალური ნიჭი, რამაც იგი მსოფლიოს სახელგანთქმულ პიროვნებად აქცია ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, წერს ტორნბურგი. მაგრამ ამჟამად დღის წესრიგშია არა სააკაშვილის ბრალდება, არამედ მისი საქართველოს განვითარების კონცეფცია და მოკავშირეების იმედების გამართლება, რომ მას შეუძლია განახორციელოს ეს გეგმა. „ფსონი დიდია: ეს ნამცეცა ქვეყანა არის წერტილი, სადაც ყველაზე მტკივნეულად ეჯახებიან ერთმანეთს რუსეთის მზარდი რწმენა თავის თავში და ევროკავშირისა და ნატოს გაფართოება აღმოსავლეთისკენ“, – წერს მიმომხილველი. მაგრამ საკვანძო კონფლიქტი – ეს არის, ალბათ, სააკაშვილის საშინაო მიმოქცევა: უზარმაზარი გეგმები ქვეყნისთვის ეწინააღმდეგება მის იმპულსურ ხასიათს.

საქართველოში პროდასავლური ლიბერალური დემოკრატიის აყვავება რუსეთის საზღვარზეა და იგი გახდება ნიმუში ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებისთვისაც, ასკვნის ჟურნალისტი. „მაგრამ თავდაპირველად საქართველომ უნდა მიაღწიოს სტაბილურობას მშვიდობასა და აყვავებას. ისტორია განსჯის, შეუძლია თუ არა ეს სააკაშვილს“.

**პრესის მიმოხილვა.**

# დიალოგი საქართველოზე მუშაობს

**ქართული კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარე ჩართულია და წინ მიიწევს ჟენევაში. მათ საუბარი უნდა განაგრძონ.**

2008 წლის 15 ოქტომბერს იმ საზავო შეთანხმების თანახმად, რომელიც ევროკავშირის იმდროინდელი ხელმძღვანელი ქვეყნის, საფრანგეთის შუამავლობით, 12 აგვისტოს დაიდო და რომლის მეშვეობითაც დამთავრდა ხუთდღიანი ომი საქართველოში, ჟენევაში „საერთაშორისო მოლაპარაკებებს“ ჩაეყარა საფუძველი. ამ მოვლენის მიჯნაზე, გაეროს, ეუთოს და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლები ჟენევაში შეიკრიბნენ, რათა კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ ამ ინსტიტუტების ვალდებულება, რომლის თანახმადაც ისინი ამ მოლაპარაკებაში თანათავმჯდომარის როლს შეასრულებდნენ.

სამოქმედო ჩარჩო ოფიციალურად იქნა მიღებული სესიაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველო, რუსეთი და აშშ. ამან ორი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესაძლებლობა შექმნა: ერთი, რომელიც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე მუშაობს, და მეორე – იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა პრობლემებზე. სამუშაო ჯგუფებში მოლაპარაკება ასევე 15 ოქტომბერს დაიწყო და მასში ჩართული იყვნენ აგრეთვე მონაწილეები აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან.

წლის განმავლობაში ჟენევის დისკუსიების ფარგლებში 7 სესია გაიმართა, მაგრამ სადა ვართ ახლა?

მიუხედავად იმისა, რომ 26 აგვისტოს, სულ რაღაც ორ კვირაში საომარი დაპირისპირების დასრულების შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისი დამოუკიდებლობა აღიარა, რამაც შეურიგებელი უთანხმოება წამოქმნა, პოსკონფლიქტურ ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებულ რეგულარულ დიალოგს საფუძველი მაინც ჩაეყარა.

მიუხედავად არსებული უთანხმოებისა, რამაც ძალიან სავალალო შედეგი გამოიღო – საქართველოში ეუთოსა (22 დეკემბერი 2009ძ და გაეროს მისიების გაუქმება (15 ივნისი 2009ძ, ორივე ჯგუფის მუშაობა წინ მიიწევს.

ჟენევის დისკუსიების მთავარი შედეგი ამ მომენტისთვის 2009 წლის 18 თებერვალს „ინციდენტის პრევენციისა და საპასუხო რეაგირების“ ორმაგი მექანიზმის შექმნაა, რაც შესაბამისად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სივრცეში უსაფრთხოების, მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საკითხებზე ყველა პასუხისმგებელი აქტორის რეგულარული შეხვედრების შესაძლებლობას ქმნის. ეს სისტემა „ცხელი ხაზის“, ყველა მხარეს შორის მუდმივი საკომუნიკაციო არხის დაფუძნებით შეივსო. ორივე მექანიზმმა ამას წინათ დაასრულა თავისი მეხუთე და მეექვსე რაუნდი. კომუნიკაცია ხანდახან რთულად მიმდინარეობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დადასტურდა ამ მექანიზმების სარგებლიანობა და ყველა მხარემ გამოძებნა საკუთარი ინტერესი მიმდინარე დისკუსიებში.

რაც შეეხება ჰუმანიტარულ საკითხებს, აქ პრობლემები უზარმაზარია. დახმარების მისაწვდომობა ისე, როგორც ეს საერთაშორისო სამართლითაა დაწესებული, უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. ერთდროულად, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული დახმარების შეტანასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა ჯერ ვერ მოხერხდა. შეთანხმებული გეგმა ახლა მუშავდება, რათა შემოდგომიდან მისი განხორციელება დაიწყოს.

სამი თანათავმჯდომარის არაერთმა საველე ვიზიტმა, კონკრეტულად სოხუმსა და ცხინვალში, შედეგად საერთო უსაფრთხოების განმტკიცებისა და ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესების საშუალებათა მუდმივი გადაფასება გამოიღო.

დიალოგის ეს კონკრეტული ჩარჩო, რომელიც ვითარების შემსუბუქებას, ცხოვრების ნორმალური რიტმის უსწრაფეს აღდგენას ეხება, ნამდვილად მყიფე და არასაკმარისია. მაგრამ ეს ის პროცესია, რომელსაც ყველა მონაწილე მხარე აცნობიერებს და იყენებს. თუ იმ მძაფრს ემოციებს გავითვალისწინებთ, რაც შარშანდელ ომს მოყვა, ესეც არ არის პატარა მიღწევა.

ჟენევის მოლაპარაკებები ახლა მეორე ფაზაში შედის. ამ ფაზის მიზანი უფრო სრულყოფილი უსაფრთხოების რეჟიმისა და ჰუმანიტარული დაცვის სტრუქტურის შექმნაა, რამაც რეგიონალური უსაფრთხოებაც უნდა განამტკიცოს.

პოლიტიკური პროცესი დაწყებულია. მეთოდები განისაზღვრა და მიღებულ იქნა ყველა მხარის მონაწილეობით; ნაბიჯ-ნაბიჯ, თავიდან ბოლომდე, საკითხიდან საკითხამდე. გარკვეული გამოცდილებაც უკვე მიღებულია.

ჟენევა დღეს ის ერთადერთი საერთაშორისო ფორუმია., რომელშიც ყველა მხარეა ჩართული.

მხარეებმა უნდა შეინარჩუნონ მუდმივი კავშირი. სწორედ ესაა თანათავმჯდომარეების შეშფოთების უმთავრესი საგანი, მაგრამ ყველა მხარის ვალდებულების შენარჩუნება, აუცილებელია. მართალია, ნდობა ყოფილ მეომარ მხარეებს შორის ჯერ არ აღდგენილა, მაგრამ ჟენევაში თითოეულმა მათგანმა უკლებლივ ჩვენი საერთო საქმის წინ წასაწევად თავისი წვლილი შეიტანა და, შესაბამისად, პირველი ნაბიჯიც გადადგა რაციონალური დიალოგისკენ და ამ დიალოგის მეშვეობით მდგრადი უსაფრთხოებისკენ.

12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებები სრულად შესრულებული არ არის. რამდენიმე შემაშფოთებელი მომენტი ფხიზელ ყურადღებას ითხოვს: სამხედრო ძალების კონცენტრაცია, გაფრთხილებები და მუქარა, ისევე, როგორც გაუმართლებელი და მუდმივი შეფერხებები ჰუმანიტარული დახმარებისთვის. მაგრამ ამავე დროს ეს პრობლემები მხარეებს შორის დეტალურად განიხილება.

დიალოგის, საკონსულტაციო მექანიზმების ღიად გამოყენება, ისევე როგორც უსაფრთხოების ზომები, მშვიდობიანი გარემოს რეკონსტრუირების საუკეთესო საშუალებად გვევლინებიან. ტალიავინის ანგარიშმა ის შეგვახსენა, თუ რა შედეგი მოყვება ამ ინსტრუმენტების უარყოფას და პროვოკაციების ინტენსიფიკაციას. სწორედ ამან მიიყვანა სიტუაცია გასული აგვისტოს კონფლიქტამდე – მოვლენათა თანამიმდევრობამ, რომელთა პრევენციაც შესაძლებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სრულად არ გამქრალან, ინციდენტთა რაოდენობამ კონფლიქტურ ზონებში, საბედნიეროდ, იკლო, რასაც განსაკუთრებულად ევროპის კავშირის სამეთვალყურეო მისიას უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ ამავე დროს, კვლავინდებურად აუცილებელია პრევენციულ მოქმედებათა ინტენსიფიკაცია, რათა გადაწყდეს ძველი პრობლემები და მოსახლეობის მოლოდინიც გამართლდეს.

ვნებები ჯერ არ ჩამცხრალა და ეს უნდა გავითვალისწინოთ. თავზე არაფრის მოხვევა არ შეიძლება. მაგრამ სიცოცხლე ძლიერია, ხოლო ეკონომიკური კრიზისი კომპრომისის აუცილებლობაზე შეგვახსენებს. მხოლოდ ფოკუსირებული შრომა, მოთმინება და მიზანდასახულობა შექმნის გამოსავლისკენ სვლის შესაძლებლობას.

ომის შემდეგ ერთი წელი გავიდა და უკან გახედვის დრო დადგა. თავისი მდიდარი, ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში სამხრეთი კავკასია უამრავ განსაცდელს გამკლავებია: ის ისევ სენსიტიურ რეგიონად რჩება და ისევ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ცივილიზაციათა და კონტინენტთა შორის ურთიერთობებში. ჟენევაში, მიმდინარე მოლაპარაკებაში, არავითარი ძალა არ უნდა დავიშუროთ იმისთვის, რომ რეგიონს ბუნებრივი როლი დაუბრუნდეს – გზაჯვარედინის და გაცვლის ადგილის როლი.

**პიერ მორელი**

**Guardian**

## დედამიწის ზურგზე



**რიო-დე-ჟანეიროში ნარკომოვაჭრეთა ბანდების შეტაკების შედეგად 14 კაცი დაიღუპა**

შეტაკება მოხდა ორი კვირიდან მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი გამოცხადდა ოლიმპიადა 2016-ის დედაქალაქად. ქალაქის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და საზოგადოებრიობას არ აქვს არავითარი მიზეზი, ეჭვი შეიტანონ ბრაზილიის მთავრობის უნარში, მოაწყოს ოლიმპიური თამაშები.

* * *

**რიგის მცხოვრებლები მოითხოვენ ჯოხარ დუდაევის ქუჩისთვის სახელის გადარქმევას**

რიგის დუმის საქალაქო განვითარების დეპარტამენტში შევიდა ერთბაშად ხუთი განცხადება ქუჩის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით. ადრე რიგის მერმა ნილ უშაკოვმა განაცხადა, რომ თუ რიგის დუმა მიიღებს განაცხადს შესაბამისი მოთხოვნით მოსახლეობისგან, ჯოხარ დუდაევის სახელი ქუჩას გადაერქმევა.

* * *

**ევროსაბჭო გააძლიერებს თავის გავლენას ყირიმში ინვესტიციების დახმარებით**

„ყირიმში თანამეგობრობის ერთობლივი ინიციატივის“ ფარგლებში 2010 წელს ევროპა ავტონომიაში გაგზავნის 12 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიციებს, იმედოვნებენ უკრაინის მთავრობაში. რუსეთი ამ დროს ყირიმს სთავაზობს მხოლოდ პოლიტიკურ ლოზუნგებს და კარგავს პოზიციას რეგიონში, აღნიშნავენ პოლიტოლოგები.

* * *



**ობამას არ აქვს განზრახული კონტინგენტის გაზრდა ავღანეთში, სანამ კარზაი და აბდულა არ მოილაპარაკებენ**

საუბარი, ამერიკის შეხედულებით, შეეხება ან „პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს ორი კანდიდატურის მონაწილეობით, რომლებიც ყველაზე მეტ ხმებს დააგროვებენ“ ან „მოლაპარაკებას ამ ორ კანდიდატს შორის“. საკითხი შეეხება არა იმას, თუ რა ოდენობის ჯარები გაიგზავნება ავღანეთში, არამედ იმას, აქვს თუ არა ნდობის უფლება ავღანელ პარტნიორს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მოსახლეობის უშიშროება და საჭიროებანი.

* * *

**აფეთქება ტაილანდის სამხრეთში: დაჭრილია 20-ზე მეტი კაცი**

უცნობმა პირებმა მოტოციკლი გააჩერეს ერთ-ერთი ბაზრის მახლობლად იალის პროვინციაში. დაიჭრნენ სამხედროები და მშვიდობიანი მცხოვრებლები. ქვეყნის სამხრეთში მოქმედებს რამდენიმე ისლამური ტერორისტული დაჯგუფება, ოთხი წლის განმავლობაში იქ დაიღუპა 3,7 ათასზე მეტი კაცი.



◎ პატივგება

# გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწე

## შოთა ჭანუყვაძე – 100



**შოთა ჭანუყვაძე XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ზვანში 1909 წლის 20 ოქტომბერს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 15 წლის ასაკიდან სტამბის მუშად და განვლო ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთული წინააღმდეგობრივი გზა — ქვეყნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტამდე. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, მრავალი ორდენის კავალერი, საყოველთაოდ აღიარებული პიროვნება და მოღვაწე.**

ეს მკაცრი ეპოქის შვილი თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობის სტილით, ქვეყნის ერთგულებით, ეროვნული ტრადიციების დაცვისა და გაღრმავების სულისკვეთებით დღენიადაგ ზრუნავდა და მუდამ იცავდა ქართული სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ეკონომიკის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებს. სწორედ მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარებაა უშუალოდ დაკავშირებული მის სახელთან.

ჩვენს მეხსიერებაში შოთა ჭანუყვაძე დარჩა როგორც კაცური, რაინდული თვისებების მქონე, მომხიბლავი და ჭკვიანი, ნიჭიერი და ღირსეული მამულიშვილი, კაცთმოყვარე, გაწონასწორებული და წყნარი, წინდახედული და გამჭრიახი, უანგარო და შრომისმოყვარე, პრინციპების ერთგული, სამართლიანი, დინჯი და აუჩქარებელი საქვეყნო პრობლემების გადაწყვეტისას. იგი — რწმენით ქრისტიანი კაცი — პარტიის წევრი, თითქოს შეუმჩნევლად ცდილობდა და ახერხებდა კიდეც სახარების პრინციპების დაცვას. მუდამ უხსნიდა გზას ნიჭიერ და გამორჩეულ ახალგაზრდებს პარტიულ თუ სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

შოთა ჭანუყვაძე თავისი მოღვაწეობით მუდმივად უწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებას კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან, რეგიონში ეკონომიკისა და კულტურის დაახლოებას, განსაკუთრებით ზრუნავდა ეროვნული კულტურის, ხელოვნების, სპორტის განვითარებისთვის, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ სფეროს ღირსეულ წარმომადგენლებთან, ყოველმხრივ ეხმარებოდა და ხელს უწყობდა მათ.

შოთა ჭანუყვაძის ცხოვრება იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ სიფაქიზით, ერთგულებით, მადლიერებით უნდა იყოს განმსჭვალული ქართველი კაცი წინაპრების, მშობლების, ოჯახის, მეგობრების, ნათესავების, კოლეგების მიმართ.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, ხალხს, მის მომავალს.

ნათელი ხსოვნა შოთა ჭანუყვაძისა, რომელიც გარდაიცვალა 1992 წელს, სამუდამოდ დარჩება შთამომავლების მეხსიერებაში.

**გოგოთურ აგლაძე, ჯემალ ახმეტელი, გივი ბადრიშვილი, ვლადიმერ გვარჯალაძე, ლონგინოზ ზაქაიძე, ნათელა თოფურია, თამაზ იმედაძე, სანდრო კავსაძე, რევაზ კაკულია, ომარ მაისურაძე, ლორიკ მარშანია, ვაჟა მაღლაკელიძე, გურამ მგელაძე, გია მორჩაძე, ვლადიმერ ოდიშვილი, ნუგზარ ოდიშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, რობერტ ურჯუმელაშვილი, რამაზ ფანცხავა, გელა ქვათაძე, მურმან შუბითიძე, ჯიმშერ ჩარკვიანი, ანზორ ჩარქსელიანი, მიხეილ წიკლაური, შოთა ჭალაგანიძე, ნოდარ ჭითანავა, გიგლა ჭანუყვაძე, ჯონდო ჯავახიშვილი.**

◎ თქვენ გატაცება უქახეთ...

**ორი წლის წინათ ჩვენს გაზეთში მკითხველს ვაუწყებდი დიდი ქართველი ფეხბურთელის, საფეხბურთო მოედნის „ლომის“, სპორტის დამსახურებული ოსტატის მანუჩარ მაჩაიძის გატაცების შესახებ. უმაღლეს დონეზე ფეხბურთის თამაშის გარდა, თუ როგორ აღმოაჩნდა მანუჩარს მხატვრობის ნიჭი, თავისუფალ დროს როგორ ატარებს იგი მოლბერტთან და, რომ უკვე კარგა ბლომად ნამუშევრები დაუგროვდა.**

# „დიდი მანუჩარის“ ფერადოვანი ნაშუადღევი

შემთხვევით შევიტყვე ყოველივე. „პლეხანოვზე“ მდებარე ცნობილ სამხატვრო სალონში მანუჩარის რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი ვნახე გამოფენილი. **„მანუჩარ მაჩაიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი“** — აწერია ქვემოთ რამდენიმე პეიზაჟს და პორტრეტს... მოდი და, ნუ დაინტერესდები. მეც ამ სალონის დირექტორი, შესანიშნავი მხატვარი და მამულიშვილი, მხატვართა კავშირ „ხელოვანის“ თავმჯდომარე **ნოდარ რურუა** შევაწუხე და მანაც აი, რა მიამბო:

— ჩვენი კავშირის ერთ-ერთი მთავარი მისია მთელი საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდა მხატვრების მოძიებაა. აბა, ამ დალოცვილ მიწაზე ტალანტებს რა დალევს და, მართლაც ბევრი „ჩრდილში“ მყოფი ახალგაზრდა აღმოვაჩინეთ, რამდენიმე გამოფენაც კი გავმართეთ მათი მონაწილეობით. ამ ძებნაძებნაში გავიგეთ, რომ ჩვენი მანუჩარ მაჩაიძეც ყოფილა გატაცებული მხატვრობით. ვთხოვეთ, რომ მოეტანა ჩვენთან რამდენიმე ნამუშევარი და, როგორც ხედავთ, პირდაპირ დაგვიმშვენა კედელი. საყოველთაოდ ცნობილია მანუჩარის, როგორც ფეხბურთელის ნიჭიერება, მხატვრობის ნიჭიც, ეტყობა, დაბადებიდან ჰქონდა, მაგრამ მისი გაფურჩქვნისთვის ფეხბურთს გადაყოლილ ახალგაზრდას დრო აღარ რჩებოდა. და აი, თავისი ცხოვრების ნაშუადღევს მანუჩარ მაჩაიძე სერიოზულად მუშაობს ფერწერაში, იგი უკვე პერსონალურ გამოფენაზეც კი ფიქრობს. ჩვენც, ასე ვთქვათ, გავათამამეთ, რამდენიმე მისი ნამუშევარი აქ დავკიდეთ, ანუ სტიმული მივეცით. მანუჩარს, ჩემი აზრით, უკვე მოყვარული აღარც ეთქმის, ისე უზადოდ ფლობს ფერსა და ტექნიკას...

— თქვენ ნახავთ, რა რეზონანსი ექნება მანუჩარის ნამუშევრების გამოფენას, — მეუბნება რეზო ადამია, — აი, „რაჭის ხეობა“, „ინდოეთის პეიზაჟი“, „ბიბი“, „ნატურმორტი“... ეს ნაღდი ფერწერაა! რაც მთავარია, იგი კოლორისტია... დააკვირდით, როგორ არჩევს ფერებს, პრიმიტივიზმის მისხალიც არ არის!... ადვილი შესაძლებელია, რომ მანუჩარმა ისეთივე ნიჭი გამოავლინოს მხატვრობაში, როგორიც ფეხბურთელი იყო — ლაღი, უხვი ფანტაზიის პატრონი, სილამაზის ტრფიალი...



* * *

ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ: თავისი დაბადების 60 წლისთავის საიუბილეო დღეებში „დიდმა მანუჩარმა“ გაბედა და „პლეხანოვზე“, საგამოფენო დარბაზ „ვერნისაჟში“ ორმოცამდე ნამუშევარი ფართო საზოგადოების წინაშე წარადგინა. გაჭედილი იყო თაყვანისმცემლებითა და ტელეკამერებით მომცრო დარბაზი, მისი კედლები მანუჩარის ნალოლიავებ ფერტილოებს დაეფარა, თემა — მრავალფეროვანი: რაჭა — მისი სიყვარული, ნატურმორტები, ადამიანები...

— რა ლამაზადაც მანუჩარი მაჩაიძე ფეხბურთს თამაშობს, ის სილამაზე მხატვრობაშიც შეუნარჩუნებია, — ამბობს ცნობილი ფერმწერი **გივი თოიძე**.

— ეს ნამუშევრები ცალ-ცალკე თითქმის ყველა ნანახი მაქვს, მაგრამ ერთად შეკრებილი, მართლაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, — ესაუბრება შეკრებილთ ცნობილი მხატვარი **რადიშ თორდია**.

— კარგა ხანია ვაძალებთ მეგობრები, რომ გაემართა მანუჩარს ერთი გამოფენა, ეტყობა, დაბადების მრგვალ თარიღს უცდიდა და მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ დამთვალიერებელი აღტაცებულია მანუჩარის ფერტილოებით, მისი მრავალმხრივი ნიჭით, — უერთდება კოლეგების მოსაზრებას ცნობილი მხატვარი **ნოდარ რურუა...**

ის კი, ერთ დროს მოედნის ლომი“, ზაურ ბოლქვაძისგან მანუჩარ **მატჩაიძედ** წოდებული, ისმენდა ფუნჯის „ლომების“ შექებას, ნაცნობ-მეგობართა გულწრფელ აზრს...

**შექებას ბოლო არ უჩანს:
შენ ვინ ყოფილხარ, მანუჩარ!
არ თქვა, რომ უკვე მობერდი,
გიცდის კასკასა მოლბერტი...**

ესეც ექსპრომტი მანუჩარს!

მისი სიჩაუქე არ ჩამცხრალა 60 წლის ასაკშიც, მისი საძმოს მხარდამხარ რომ გვიჩვენა გუშინწინ „დინამოს“ სტადიონზე აფხაზეთის ვეტერან ფეხბურთელთა წინააღმდეგ (თამაში, რა თქმა უნდა, დამთავრდა მშვიდობიანად — 4:4).

სიმხნე არ მოგკლებოდეს, ჩვენო მანუჩარ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ძვირფასი სილუეტები

# ქოქიაშვილების ბედისწერა

## ანუ რას სთხოვს მხცოვანი მხატვარი კულტურის სამინისტროს

**მხატვრებზე მოგითხრობთ — მამა-შვილ ქოქიაშვილებზე... მამა მოესწრო შვილის უბედურებას, ძმა მოესწრო ძმისა და შვილის უბედურებას... ასე ნებავდა წერა-მწერალს...**

მე ვიცნობდი ბატონ სოსოს — ცნობილ მხატვარ-კარიკატურისტ იოსებ ქოქიაშვილს, გაზეთ „კომუნისტში“ რომ მიმილეს, ისა და იულონ კალაძე — ისიც მხატვარი — უკვე საკმაოდ ხანშიშესულნი იყვნენ. ერთხელაც უფრო ახლოს გავიცანი ბატონი სოსო: სამამულო ომის დამთავრების რომელიღაც მრგვალი თარიღი აღინიშნებოდა, რედაქტორმა დამავალა ბატონ სოსო ქოქიაშვილზე მომემზადებინა მასალა, მისი კარიკატურები, სამამულო ომის პერიოდში, ხომ დიდ პროპაგანდას ეწეოდნენ, „სამარცხვინო ბოძზე“ აკრავდნენ საბჭოეთის მტრებს და მათ დამქაშებს... ავედი ჭავჭავაძის ქუჩაზე (რუსთაველიდანძ, ვინახულე ოჯახი, რომელმაც მთელი თაობა აღზარდა მხატვრებისა. მახსოვს კედლებზე ბატონი სოსოს ვაჟიშვილის, მოქანდაკე ლადო ქოქიაშვილის ფოტოსურათები, საოცარი აღნაგობა მოქანდაკისა, რომელიც ერთ ახალგაზრდულ, შეიძლება ითქვას, გაუგებრობას, შეეწირა და, როგორც მხატვარს, უამრავი ჩანაფიქრი აუსრულებელი დარჩა. მაშინ ლეგენდები დადიოდა ლადო ქოქიაშვილზე.

სხვათა შორის, ლადოს დიდი გავლენა ჰქონდა თავისი უფროსი ძმის — ვახტანგ ქოქიაშვილისა.

ვახტანგიც ხომ მხატვრობით იყო „ტვინდასეტყვილი“, მისი ფერწერა, მისი გრაფიკა და, მოგვიანებით, კონცეფციური გრაფიკა და კონცეფციური პოპარტი, სრულიად ახალ აზროვნებას ქმნიდნენ და დროის მაჯისცემას გვაგრძნობინებდნენ...



ამ ფოტოსურათზე, დღეს რომ ვბეჭდავთ, ფიქრიანი ახალგაზრდა კაცია ვახტანგ ქოქიაშვილი, სიბერის ჟამს კი ნამეტანი იმედგაცრუებული დაგვხვდა იგი „მხატვრების უბანში“, შალვა ნუცუბიძის პარალელურ რეზო მარგიანის სახელობის მყუდრო ქუჩაზე მდებარე სახლ-სახელოსნოში, მომავალ გაზაფხულზე 80-ისა ვხდები და ისე დამჩაგრა ცხოვრებამ, არა მგონია, მივაღწიოო, გვეუბნება იგი მე და გელა ქოქიაშვილს — თავის დროზე შესანიშნავ საოპერო მომღერალს, მამულიშვილს, ნათესაობა-ბიძაშვილობის გრძნობაში ჩამწვარ კაცს. ამ რამდენიმე დღის წინათ ეზოში დაცემულა ვახტანგი და, ახლა ძლივს რომ დააბიჯებს, ამაზე გიჟდება...

სახელოსნო, თავის დროზე ბატონ სოსო ქოქიაშვილს აუშენებია, ორი სართული უზარმაზარ სამუშაო-საგამოფენო დარბაზს უჭირავს და, დღეს უკვე, შეიძლება ითქვას, მოვლა-პატრონობას საჭიროებს. აქ გამოფენილია ბატონი სოსოსა და მისი ვაჟიშვილების ნამუშევრები, ნაადრევად გარდაცვლილი ნიჭიერი მხატვრის, ვახტანგის ვაჟიშვილის მერაბის და ქალიშვილის — ნინოს ნახატები (ხომ ხედავთ, დინასტიაა ქოქიაშვილებისაძ...

**— საქართველოს კულტურის სამინისტროს აღრიცხვაზე აქვს აყვანილი ამა თუ იმ მხატვრის სახელოსნო, მემკვიდრეობა, და, იქნებ, ჩვენი სახელოსნოც აიყვანონ აღრიცხვაზე და, საბოლოოდ, შთამომავლობას დარჩეს ჩვენი ნამუშევრებიო,** გვეუბნება ბატონი ვახტანგი და შეუძლებელია გული არ შეგეკუმშოთ, ამა სოფლის ამაოებაზე არ დაფიქრდეთ.

იხ. 12 გვ.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**საქართველოს XXI ეროვნული ჩემპიონატის XI ტური.** „ზესტაფონი“ – „სამტრედია“ 4:2, „ოლიმპი“ – „ლოკომოტივი“ 3:1, „დინამო“ – „სიონი“ 0:2, „ბაია“ – „ცხინვალი“ 4:1, „ვიტ ჯორჯია“ – „გაგრა“ 5:1.

„ზესტაფონი“ – 25, „ოლიმპი“ – 24, „ვიტ ჯორჯია“ – 22, „დინამო“ – 18, „ცხინვალი“ – 17, „სიონი“ – 14, „სამტრედია“ 13, „გაგრა“ – 9, „ბაია“ – 7, „ლოკომოტივი“ – 2 ქულა.

**24 ოქტომბერს ითამაშებენ:** „სამტრედია“ – „ოლიმპი“, „გაგრა“ – „ზესტაფონი“, „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“, „ცხინვალი“ – „დინამო“, „ლოკომოტივი“ – „ბაია“.

* * *

**იტალია. VIII ტური.** „ჯენოა“ – „ინტერი“ 0:5, „ლაციო“ – „სამპდორია“ 1:1, „იუვენტუსი“ – „ფიორენტინა“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 19, „სამპდორია“ – 17, „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“ – 15-15 ქულა.

**25 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ინტერი“ – „კატანია“, „სამპდორია“ – „ბოლონია“, „სიენა“ – „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“ – „ნაპოლი“.

**ესპანეთი. VII ტური.** „ვალენსია“ – „ბარსელონა“ 0:0, „რეალი“ – „ვალიადოლიდი“ 4:2, „დეპორტივო“ – „სევილია“ 1:0.





**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 19, „რეალი“ – 18, „სევილია“, „დეპორტივო“ – 15-15 ქულა.

**25 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ბარსელონა“ – „სარაგოსა“, „ხიხონი“ – „რეალი“, „სევილია“ – „ესპანიოლი“, „ვალიადოლიდი“ – „დეპორტივო“.

**ინგლისი. IX ტური.** „მანჩესტერი“ – „ბოლტონი“ 2:1, „ასტონ ვილა“ – „ჩელსი“ 2:1, „პორტსმუთი“ – „ტოტენჰემი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 22, „ჩელსი“ – 21, „ტოტენჰემი“ – 19 ქულა.

**24 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ლივერპული“ – „მანჩესტერი“, „ჩელსი“ – „ბლექბერნი“, „ტოტენჰემი“ – „სტოკი“.

**გერმანია. IX ტური.** „ჰამბურგი“ – „ლევერკუზენი“ 0:0, „შტუტგარტი“ – „შალკე“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლევერკუზენი“, „ჰამბურგი“ – 21-21, „შალკე“ – 19 ქულა.

**24 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ლევერკუზენი“ – „ბორუსია“, „შალკე“ – „ჰამბურგი“.

**საფრანგეთი. IX ტური.** „ლიონი“ – „სოშო“ 0:2, „მონპელიე“ – „სენტ ეტიენი“ 2:1, „ოსერი“ – „ბორდო“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“, „მონპელიე“ – 20-20, „ბორდო“ – 19 ქულა.

**24 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ნიცა“ – „ლიონი“, „რენი“ – „მონპელიე“, „ბორდო“ – „ლე მანი“.

ბატუტზე ხტომა

# „სპარტაკუს თასზე“



**სალონიკიში (საბერძნეთი) დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „სპარტაკუს თასზე“, რომელშიც 14 ქვეყნის 250-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.** ინდივიდუალურ ხტომებში შესანიშნავად იასპარეზა თეონა ჯანჯღავამ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ თეონამ მსგავს შეჯიბრებაზე შარშანაც აჯობა ყველას. სინქრონულ ხტომებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზურაბ ნოზაძე და ლაშა გაბაშვილი, ინდივიდუალურში კი ნოზაძე მეორე ადგილზე გავიდა. გუნდურ ჩათვლაში ვერცხლის მედალი დაიმსახურეს თემურ სონღულაშვილმა, რუსტამ კალოევმა და დიმიტრი ზუტიკოვმა.

სანკტ-პეტერბურგი 8-15 ნოემბერს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საპრიზო ადგილებისთვის იბძოლებენ: უფროსებში – ლუბა გოლოვინა, თეონა ჯანჯღავა, ... გიზ კოშკაძე და ნანა ლუქაშვილი, ახალგაზრდებში – გიორგი ფუტკარაძე, ზურაბ ნოზაძე, თეონა ჯანჯღავა, ანა ოდიშვილი, ნანა გოგაშვილი, დიმიტრი ზუტიკოვი და რუსტამ კალოევი. იმედია, წარმატების მისაღწევად არაფერს დაიშურებენ.

**სურათზე: „სპარტაკუს თასის“ გამარჯვებულები და პრიზიორები.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ჩოგბურთი

# ეროვნულის ლაურეატები



**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებმა საქართველოს ჩოგბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა. ერთეულთა თანრიგში ქალთა შორის ფინალში სოფიო შაფათავა და სალომე კვიტაშვილი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გამოცდილმა შაფათავამ მეტოქეს წარმატების შანსი არ დაუტოვა – ორ სეტში დაამარცხა იგი – 6:0, 6:3.**

ვაჟთა გადამწყვეტ პაექრობაში გიორგი ცივაძემ, რომელმაც ამას წინათ იტალიაში 16-წლიანთა ევროპის მასტერსზე მე-3 ადგილი დაიკავა, გუშინ თემურ ძაგნიძეს სძლია (6:3, 6:2) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ შაფათავამ და ცივაძემ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პირველად მოიგეს.



ქალთა წყვილებში ყველას ანა ჯიქიამ და სალომე კვიტაშვილმა აჯობეს, ვაჟებში კი გიორგი რევაზიშვილმა და რობერტ ჩაჩავამ იყოჩაღეს.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

რა არ ხდება

# ხუთი ყველაზე დიდი აფიორა სპორტულ სამყაროში



## 2. „ფორმულა-1“-ის სასტიკი პიკე

**წლეულს სექტემბერში აგორდა გრანდიოზული სკანდალი: „რენოს“ პილოტმა ნელსონ პიკემ განაცხადა, რომ მისი გუნდის ბოსებმა აიძულეს ის, გაეთამაშებინა ავარია 2008 წლის „სინგაპურის გრან-პრის“ ეტაპზე, რათა რბოლის მოგებაში დახმარებოდა ფრანგული საჯინიბოს უფროს ამხანაგს ფერნანდო ალონსოს.**

**დანაშაულის სქემა:** „რენოს“ პატრონის **ფლავიო ბრიატორეს** გათვლით, პიკეს ავარია უნდა მოეწყო მე-13-მე-14 წრის შემდეგ ალონსოს პიტ-სტოპის შემდეგ მე-17 ვირაჟის რაიონში. იქ არ იყო ამწეები, ამიტომაც ტრასაზე უნდა გამოსულიყო უსაფრთხოების მანქანა. ალონსომ, სტარტი მე-15 პოზიციიდან რომ აიღო, ამ დროისთვის უკვე მოასწრო ბოლიდის საწვავით შევსება და ბოქსებიდან გამოსვლა ფავორიტის სტატუსით, დანარჩენი მრბოლებისთვის პიტ-ლეინი უკვე დაიკეტა.

პიკე, რომელსაც ამ დროს არ ჰქონდა გაფორმებული კონტრაქტი შემდეგი სეზონისთვის, იძულებით დათანხმდა. მაგრამ წლევანდელ ივლისში, როდესაც ბრიატორემ მას კარისკენ მიუთითა, პიკემ ყალთაბანდები მაშინვე ჩაუშვა.

**საკითხის ფასი:** იმ მომენტისთვის, ორგზის მსოფლიო ჩემპიონს ფერნანდო ალონსოს, ძალზე უკმაყოფილო რომ იყო „რენოსა“ და თავისი ადგილით მეორე როლში, უნდოდა „საჯინიბოდან“ წასვლა. ეს განსაკუთრებით ასუსტებდა „რენოს“. ახალ სეზონში კი ძნელი იქნებოდა სპონსორებიდან და პარტნიორებიდან საჩემპიონო ბიუჯეტის მოპოვება. ეს კი დაახლოებით 350 მილიონი ევროა.



**შურისძიება:** „რენოს“ პატრონ-დირექტორი ფლავიო ბრიატორე დისკვალიფიცირებულია სამუდამოდ. მთავარი ინჟინერი პეტ სიმონდსი „ფორმულა-1“-ს ჩამოაშორეს 5 წლით. თავად „რენო“ კი პირობითად დისკვალიფიცირებულია ორი წლით.

ამა წინათ „რენოს“ სახელოვანმა პილოტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ კონტრაქტი გააფორმა იტალიურ „ფერარისთან“.

ინტერნეტიდან

# დები ერთმანეთს ეჯიბრებიან?

**უილიამსების საჩოგბურთო ოჯახში ახალი ვნებანი გაჩნდა – „სტრიპტიზი“ და მწერლობა.**

**ამას წინათ უმცროსმა დამ სერენამ საქვეყნოდ გაიხადა, თუმცა უფროს დას ვინუსს სხვა რამეშიც გადაუსწრო – მასზე ადრე დაწერა წიგნი „ხაზზე“ და იმითაც, რომ ახლა ის პლანეტის პირველი ჩოგბანოსანი ქალია.**

თუმცა ახლა ვინუსიც სცდის კალმის ძალას, მართალია ბოლო ხანებში მას კორტებზე არ უმართლებს, მაგრამ ადრინდელ წარმატებებზე სათქმელიც და საწერიც უხვად აქვს. საქვეყნოდ გახდაზე არც მას უთქვამს უარი.

თუმცა მისი წიგნის ლოდინი კარგა ხანს მოგვიხდება, – ის მხოლოდ მომავალი წლის ივნისში გამოჩნდება. ინტერნეტში კი მისი წინასწარი შეკვეთა ახლავე შეიძლება.

აქვე გთავაზობთ ორივე დის სტრიპტიზით გატაცების ფაქტ-ფოტოსურათებს.





სანთელი

# რეზო ბიწაძე

გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მასწავლებელი, ჩინებული მოქალაქე და მამულიშვილი რეზო ბიწაძე, რომელმაც ბოლო ორმოცი წლიწადი ერთი სოფლის სკოლის კედლებში გაატარა.

ჭიათურის რაიონის სვერის საშუალო სკოლის დირექტორმა ხალხის მხარდაჭერით სკოლა სამჯერ ააშენა. აქ ვერ ნახავთ ბოლო დროისთვის დამახასიათებელ კვალს. აქ, სვერში, აშკარაა, რომ მოსწავლეები თავიანთ მასწავლებლებს ისევ სცემენ პატივს, როგორც ეს ძალიან დიდი ხნის წინათ ხდებოდა.

სკოლის დირექტორის გარდა, ბატონი რეზო ახლომახლო სოფლების მოჭირნახულეც იყო და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც ეწეოდა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, მას ხომ სვერის თემშიც ისეთივე პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც ქალაქ ჭიათურაში.

„როგორი შეჭირვებულიც არ უნდა იყოთ, მოსწავლე არ უნდა ვაზარალოთ. თუ ხელისუფლება პედაგოგის წინაშე სცოდავს, ჩვენ ბავშვების წინაშე არ უნდა შევცოდოთ. სასწავლო პროცესის თუნდაც რამდენიმე დღით შეფერხებით, ბავშვის განვითარების სისტემატური პროცესი ფერხდება", — ამბობდა ბატონი რეზო და იმასაც დასძენდა, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე მის სკოლაში არც ერთი გაკვეთილი არ გაცდენილა და არც გაცდებოდა, ვიდრე ის სკოლის დირექტორი იქნებოდა.



ვინც რეზო ბიწაძეს იცნობდა, დანამდვილებით იცის, რომ მას არასოდეს ჰქონია სურვილი, მისი მუშაობა ვინმეს დაენახა ან დაეფასებინა, მას საქმის კეთება უყვარდა და არა ამ საქმის შედეგით თავის მოწონება. ვერ იტანდა უწესრიგობას და საქმიანად მიუდგომელ დამოკიდებულებას. ამ პრინციპის წყალობითაა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მაღალ დონეზე შენარჩუნებული. ბოლო 10 წელია, მას სკოლის შესაკეთებლად ან ელემენტარული საკანცელარიო ნივთების შესაძენად რაიონიდან არც ერთი თეთრი არ მიუღია. გამოსავალიც მოიძებნა, სკოლის ეზოში 300 ძირი კაკლის ხე გააშენეს და ახალგაზრდა ნარგავებიდან ყოველწლიურად დაახლოებით 100 კილოგრამი ნაყოფი იკრიფება. აქედან მიღებული შემოსავალი კი მთლიანად სკოლის საჭიროებას ხმარდებოდა.

„სკოლის დირექტორობა სულ სხვაა, მას თავისი ხელოვნება სჭირდება", — ეს სიტყვები ბატონ რეზოს ეკუთვნის და სვერის სკოლის კედლების ნახვის შემდეგ ნებისმიერი მიხვდება, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში სკოლის უცვლელი დირექტორი.

რეზო ანტონის ძე ბიწაძე დაიბადა 1932 წლის 1 ივნისს ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში. იქვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა, ხოლო საშუალო სკოლა — სოფელ სვერში. 1952 წელს ჩააბარა და წარჩინებით დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა სკოლის დირექტორად და მას შემდეგ ამ თანამდებობაზე 45 წელი მუშაობდა. 1957-1958 წლებში იყო კალაურის სკოლის დირექტორი, 1958-1960 წლებში — ზედა უსახელოს 8-წლიანი სკოლის, ხოლო 1960-1961 წლებში — ცხრუკვეთის 8-წლიანი სკოლის დირექტორი. 1962 წლის ივნისს დაინიშნა სოფელ სვერის საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც 1993 წლამდე მუშაობდა. 1994-1995 წლებში მუშაობდა ჭიათურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და გამგეობის ქალაქის მერიად გადაკეთების შემდეგ ქალაქის პირველ ვიცე-მერად. 1996 წელს რეზო ბიწაძე კვლავ სკოლას უბრუნდება და სვერის სკოლა-გიმნაზიის დირექტორად ინიშნება.

მუშაობის დაწყებიდან გარდაცვალებამდე ჩაბმული იყო განათლებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხანგრძლივად იყო არჩეული სახალხო საბჭოებში. ამჟამად მუშაობდა რაიონის საკრებულოს წევრად. მუდამ აქტიურად მონაწილეობდა სოფლის და ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში.

რეზო ბიწაძე ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას. 1966 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სკოლის ძველ შენობას, ხოლო 1982-1983 წლებში ძველის ნაცვლად, 480 მოსწავლეზე გათვლილი, ახალი სასწავლო კორპუსი აიგო. სკოლას აქვს 20 კაბინეტ-ლაბორატორია, რისი წყალობითაც სკოლაში კაბინეტური პრინციპით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

რეზო ბიწაძე არჩეული იყო საქართველოს მასწავლებელთა მე-3, მე-4 და მე-5 ყრილობების დელეგატად. მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი ცენტრალურ და ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებში.

1996 წელს საქართველოს 28-ე პედაგოგიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომისთვის განათლების სამინისტრომ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა. 1998 წელს იმერეთის მხარეში სკოლის საუკეთესო დირექტორის ტიტულისთვის გამართულ კონკურსში იმერეთის სკოლებს შორის საუკეთესო დირექტორად აღიარეს.

რეზო ბიწაძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები და ქების სიგელები. მათ შორისაა 1998 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული ღირსების ორდენი. იმავე წელს რეზო ბიწაძეს ქალაქ ჭიათურის საპატიო მოქალაქედ ირჩევენ.

თავის დიდ საქმეებთან ერთად ბატონ რეზოს უკვდავებად ისიც ეყოფა, რომ მართლაც დიდებული ოჯახი დარჩა — მეუღლე, სამი ვაჟკაცი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ასე რომ, ფრიად ღვაწლმოსილი ერისკაცის — რეზო ბიწაძის სიცოცხლე კვლავ გრძელდება.

დასასრულ, ისღა დაგვრჩენია, მადლიერების სიტყვები გავაყოლოთ: ყველაფრისათვის გმადლობთ, ბატონო რეზო.

კოლეგები, აღზრდილები

გამოსათხოვარი

# კაცი, რომელიც დააკლდა უნივერსიტეტ „მეტეხს"

მავანს, ეს სათაური მაღალფარდოვანი ან მხოლოდ ლამაზი სიტყვისთვის ნათქვამი არ ეგონოს; სწორედ ასეთი იყო ჩვენი მეგობარი და კოლეგა, კაცი ნათელი, განათლებული, საქმისათვის გულანთებული, მეგობრებისათვის თავდადებული, თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის" დაარსებიდან მისი პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში, პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი.



ჯემალ ხარიტონაშვილის სიკეთისა და პიროვნული ღირსების შესახებ კარგად იციან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველმა კოლეგებმა, რომლებიც მასთან ერთად ათეული წლების მანძილზე აღასრულებდნენ თსუ-ს ძირითად ფუნქციას — პატრიოტს, განათლებული ერის შვილების აზრდას.

გადიოდა დრო, იბადებოდა ახალი იდეები და ისახებოდა ახალი მიზნები. დრომ მოიტანა და ძველი უნივერსიტეტის თანამოაზრეთა გუნდში გაერთიანდა იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლის ყლორტებიც ამოზრდილი იყო დედაუნივერსიტეტის ფესვებზე.

ჯემალი ბევრს ფიქრობდა მიმდინარე გარდამავალ პერიოდში, როგორც უნივერსიტეტ „მეტეხის" სტუდენტთა განსწავლულობის საკითხზე, ასევე თავისი ქვეყნის მომავალზე, რომელიც ბედის უკუღმართობით დღესაც სავალალო მდგომარეობაშია. მისი ბოლოს დაწერილი წიგნებიც: „თელავი" და „მსოფლიო გლობალური პრობლემები" სწორედ ადგილის დედის და მთელი ქვეყნის სიყვარულით განმსჭვალული ნაშრომებია. ის აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის" ცხოვრებაში. ჯემალი ოცნებობდა, რომ მოსწრებოდა გაერთიანებულ, გამთლიანებულ, წელგამართულ ქვეყანას, მაგრამ ამ ოცნებას მის სიცოცხლეში თურმე ასრულება არ ეწერა. შუახნის სიმპათიური, მეგობრობაში გამორჩეული საქმიანი პროფესიონალი ავადმყოფობამ დაჩაგრა. მისი ქალაქი, სამეგობრო, კოლეგები და სტუდენტები მუდამ დიდი სიყვარულით და გულისტკივილით მოიგონებენ მას. მისი მშობლიური კახეთი, სოფელი ვეჯინი და მამა-პაპათა საძვალე მისი სამუდამო განსასვენებელი იქნება.

ჯემალ ხარიტონაშვილის სამარადისო ხსოვნა მუდამ დარჩება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი კოლეგების და დედაუნივერსიტეტის პირმშო თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის" პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გულებში.

გემშვიდობებით, ბატონო ჯემალ.

**მანონ ქირთბაია,**
თბილისის უნივერსიტეტ
„მეტეხის" რექტორი, პროფესორი.

# რად მიგვატოვე, ჯემალ!..

... ასე შევყვირე, ავღრიალდი, თავი ვერ შევიკავე, შენი გარდაცვალება რომ გავიგე... ყველაფერი ერთ წუთში მოხდა, ერთ გაელვებაში, ერთ ამოსუნთქვაში გამახსენდა ჩვენი გაცნობა-მეგობრობის ორმოცდაათი წელი... ჩვენ საკრალურ უნივერსიტეტამდე, ჩვენს სტუდენტობამდე, „დინამოს" სტადიონის წინ, შენს მყუდრო და ლამაზ ბინაში შევხვდით ერთმანეთს — შენი ძვირფასი დაიკოს, შენი განუმეორებელი ლაურას მეგობრებთან ერთად... და-ძმა ისე იყავით აღზრდილი და შეზრდილი ერთმანეთს, შემდგომშიაც არა მხოლოდ და-ძმად, არამედ უახლოეს მეგობრებად — „ძმაკაცებად" დარჩით... შენი მესაიდუმლე იყო შენს პირველ სიყვარულთან, შენს ძვირფას და ერთგულ მეუღლესთან ჯილდასთან ურთიერთობაში და შემდგომში უცვლელი და დაუღლელი მამიდა შენი ლამაზი და ჭკვიანი ბიჭების, დღეისათვის ოჯახის მამების, კაცურიკაცების — ბესოს და სანდროს, შენი საყვარელი რძლებისა და შვილიშვილების გაზრდაში, მოვლა-პატრონობაში, თუმცა რაა გასაკვირი?! ისეთ ტრადიციულ ოჯახში იყავით აღზრდილი, ისეთი დედ-მამის შვილები ბრძანდებოდით...

ჩემო ძმაო, ჯემალ! მაპატიე, აზრი გამექცა, კალამიც არ მემორჩილება, ხელები მიკანკალებს, თვალები ცრემლებითა მაქვს სავსე... შენი ამ ქვეყნიდან წასვლიდან, მხოლოდ რამდენიმე საათი გავიდა... იცი, სიმართლეს გეტყვი, საერთოდ ვერც დავწერდი, მაგრამ ახლა, ამ მდგომარეობაში გამახსენდა შენი „კახურ-ქალაქური" იუმორი, რითაც დაჯილდოებული იყავი — ბიჭო, დულულა, ერთი ნეკროლოგი შენზეაო... ვბრაზდებოდი, ვჩხუბობდი — შენზე მხოლოდ ერთი წლით უფროსი ვარ-მეთქი. ჩვენდა საუბედუროდ, გვიღალატე, მიგვატოვე და ისღა დამრჩენია, შენი მეგობრების სახელით და ასე გონებაარეულმა და გულნატკენმა შენი გარდაცვალების, უფრო სწორად შენი ამ ქვეყნიდან წასვლის გამო, მაინც შევქმნა სამახსოვრო შენი პორტრეტი, როგორც კაცობისა და კაიყმობის მაგალითი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდი და იმთავითვე შენი ფაკულტეტის თანაკურსელებთან ერთად, ვგონებ უფრო მეტი მეგობარი ისტორიის ფაკულტეტზე გყავდა, არანაკლები სხვა ფაკულტეტებზეც... მუდამ მეგობრების წრეში ტრიალებდი შენ სკოლელებთან, შენ უბნელ დიდუბელ და პლეხანოველ ბიჭებთან... უნივერსიტეტი დაამთავრე და იქვე დაგტოვეს კათედრაზე, დეკანის მოადგილედ მუშაობდი, სტუდენტებისთვის მუდამ იყავი სანაქებო ლექტორი და ექსპედიციების ერთ-ერთი ღირსეული ხელმძღვანელი... მრავალი ათეული სამეცნიერო სტატიაც შეგიქმნია და დღემდე ფასეული არაერთი მონოგრაფიაც.

ბოლო წლებში, ჩვენი თაობის „ბედის ტრიალის" გამო, ღირსეულ მეგობრებთან ერთად თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის" ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყავი. მაგრამ უპირველესად ჩვენში, ჩვენ თაობაში სულ სხვა რამით იყავი გამორჩეული — „კახურ-ქალაქური ჩამოსხმით" — ლამაზი, ლაზათიანი ცხოვრების სტილით, დახვეწილი მიხვრა-მოხვრით, საუბრებით მრავალმხრივ და მრავალფეროვან თემებზე... ქალაქის და სამშობლოს სიყვარულით, მუდამ შემართული და გულანთებული ოჯახისა და მეგობრების სიყვარულით (და... ბოჰემური ცხოვრების ტრფიალით).

უნივერსიტეტში შენი შემოსვლა მთელი რიტუალი იყო, პეწიანად, კოხტად ჩაცმული, სერიოზულად მოგვესალმებოდი — გაგვესაუბრებოდი, სტუდენტებთან ლექციაზე მიიჩქაროდი, ხან კი... დერეფანში, ისტორიკოსთა და გეოგრაფთა „ბირჟაზე" შეჩერდებოდი, ლამაზ თვალებში ჭინკები აგითამაშდებოდა და... რას დგახართ, ვის ელოდებით, წამოდით, კახეთში მივდივართ... აქ, იწყებოდა ის, რითაც ყველა ჩვენგანი დღემდე სულდგმულობს: დაუვიწყარი დღეები, საათები. იქ გატარებული ყველა წუთი წარმოუდგენლად ღირსშესანიშნავია — ლამაზი, კოპწია ეზო, მამაპაპური მარანი, კახური ტრადიციული პურმარილი და ქალაქურად, ევროპულად გაწყობილი სუფრა და ვინ იცის კიდევ რა... ხარობდი, ლაღობდი. ვის არ ნახავდით იმ მშვენიერ სოფელ ვეჯინში, იმ მამაპაპურ კარმიდამოში... იქ, სტუმრად ყოფილან გამორჩენილი საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები, უცხოელები სხვადასხვა ქვეყნიდან და უბრალოდ კარგი კაცები და ქალბატონები — ჩვენი ჯემალის და მისი ოჯახის უახლოესი მეგობრები...

დიდი მასპინძლობა შეეძლო ჩვენ ჯემალს, დიდი სიყვარული დაგვიტოვა და დიდი სინანული განშორებისა... ჩემო-ჩვენო ჯემალ, კახეთში ჩვენი მასპინძელი ხშირად ყოფილხარ... დღეიდან კი ჩვენი მუდმივი-მარადიული მასპინძელი იქნები.

მეგობრების სახელით
**ოთარ მიმინოშვილი**

შვილები რამაზ და თამაზ ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალათ დედა
მერი მაჩაბელი
პანაშვიდი 20, 21 X, 16 სთ. დაკრძალვა 22 X, 14 სთ. მისამართი: კოსტავას I შესახვევი, 9 კორპუსი, 2 სადარბაზო, 7 სართული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს რამაზ და თამაზ ყურაშვილებს დედის
მერი მაჩაბლის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, ს.ს. „კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ნევროპათოლოგს, ქალბატონ ელეონორა ბერულავას გარდაეცვა მამა, ღვაწლმოსილი ექიმი
კონსტანტინე ბერულავა
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◉ ქვირფასი სილუეტები

# ქოქიაშვილების ბედისწერა

(მეცხრე გვერდიდან)

სახელოსნოს თითქმის მთელი მეორე სართული ბატონი ვახტანგის ნამუშევრებს უჭირავს. აქ უცებ იგრძნობთ მხატვრის განსაკუთრებულ ნიჭიერებას, კლასიკური ფერწერიდან კონცეპტუალურ კოლაჟებამდე განფენილ ნამუშევრებს. აგერ, ალბომი „საქართველო 3000“ — ორასგვერდიანი მცირე ანთოლოგია მაკეტის სახით, კოლაჟი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომელიც დამფინანსებელსა და გამომცემელს ელოდება. ალბომი წარადგენს ძირითადად ქართულ სახელმწიფოს, ქართველ ხალხს ვიზუალური კონცეფციის სახით, მის როლს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში... ეს იქნება უნიკალური მასალა, როგორც საერთაშორისო წიგნების ბაზრობებზე, ასევე ტურისტებისთვის... მაგრამ, არის ვინმე გამომცემელი?!

„თვითონ არ ვიცი როგორ მივედი კონცეფციურ გრაფიკამდე და კონცეფციურ პოპ-არტამდე. ხელოვნებაში ჩემთვის ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი არსებობს: პროფესიონალიზმი და დროის მაჯისცემის გრძნობა“. — ამბობს მხატვარი. არ არის განებივრებული გამოფენებით და ჯილდოებით (რუსთაველის პრემიის კანდიდატი იყო და „ჩაჭრეს“), უკვირს თუ როგორ მოეწყო ამ 15 წლის წინათ პარიზში, საქართველოს საელჩოს შენობაში მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ამ ფაქტს დიდად უმადლის მხატვარი ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს და სიამაყით გვესაუბრება პარიზულ წარმატებაზე, განსაკუთრებით გამოყოფს გრაფიკასთან ერთად ფერადი კოლაჟის ტექნიკაში შესრულებულ სურათს „აღდგომის ქართული ვარიანტი“ და „ლ. პავლოვიჩს შურს მუსოლინის“.

თავის დროზე მან მოხატა სასტუმრო „ივერია“, „მეტეხი“, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ინტერიერი... 1990 წელს ლონდონის ერთ-ერთ წამყვან გამომცემლობას გრაფიკულად გაუფორმა, აგრეთვე, ქართული ხალხური ზღაპრების წიგნი... ავანგარდისტი მხატვრის ნიჭიერებას ბევრი დამფასებელიც ჰყავს. მაგალითად, ცნობილი მხატვარი გია ბუღაძე ფილოსოფიურ ესთეტიკას უწოდებს მის შემოქმედებას. „გასაოცარი ნიჭიერება, სულიერება, თავდადება — ასეთად ჩანს ვახტანგ ქოქიაშვილის სრულიად უანალოგო ხელოვნება“, — წერს შთაბეჭდილებათა წიგნში ხელოვნებათმცოდნე თამაზ სანიკიძე...

აი, რას წერს ცნობილი მხატვარი თემო გოცაძე „ლიტერატურულ საქართველოში“: „ვ. ქოქიაშვილის შემოქმედება ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უმაღლესი გამოვლინებაა, როგორც ნოვანტორი მხატვარი, რომლის შემოქმედება განიხილება მსოფლიო სახვითი ხელოვნების კონტექსტში“.

მხატვარს, როგორც აღვნიშნეთ, მომავალ გაზაფხულზე 80 წელი უსრულდება და სწორედაც რომ მეტი ყურადღების ღირსია. ძალიანაც სწყინს, რომ ქოქიაშვილების დინასტია აქ იხურება, ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილი იყო მისი იმედი, ქალიშვილიც ნიჭიერი მხატვარია, მაგრამ, მერე?!. მერე?!.

იმედიანად იყავით, ბატონო ვახტანგ, სოსო ქოქიაშვილის შთამომავლობამ რაც შესძლო, ბევრისთვის დარჩება სამაგალითოდ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იუწყება, რომ თავისი წესდების 47-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პოეტ-აკადემიკოსობის კანდიდატად წამოყენებულია ცნობილი ქართველი პოეტი მუხრან მაჭავარიანი.**

◉ კადრი





◉ მილოცვა

*ცნობილ მწერალსა და პუბლიცისტს, მრავალი წიგნისა და სამეცნიერო სტატიის ავტორს, აფხაზეთის პრობლემებზე დამაშვრალ მოღვაწეს, უკეთილშობილეს და სამართლიან პიროვნებას, პროფესორ დავით დოლბაძეს სიყვარულით ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.*

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

◉ ჯანმრთელობა

## სიცივეში ძილი სასარგებლოა

**ბოლო ხანებში მეცნიერებს შორის გახურდა ცხარე კამათი, ძილის დროს იდეალურ ტემპერატურაზე.**

ამერიკელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ადამიანის ძილი პირდაპირ კავშირშია საძინებელი ოთახის ტემპერატურაზე. ამ გამოკვლევის საფუძველზე მივიდნენ დასკვნამდე, რომ ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 16-20 გრადუსი ცელსიუსით. სიცივე ხელს უწყობს ჯანსაღ და ღრმა ძილს. უფრო მაღალი ტემპერატურა არღვევს ძილს და იწვევს მოუსვენრობას.

თუ ადამიანს დიდხანს სძინავს ცხელ ოთახში, ის რისკავს ქრონიკულ უძილობაზე, რამაც, შესაძლოა, მალე ნერვიული სისტემის მოშლილობა გამოიწვიოს.

მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ ტემპერატურა 16-20 გრადუსის ფარგლებში ხელს უწყობს ადამიანის სხეულის საერთო ტემპერატურის დაქვეითებას. ამის შედეგად კი ადამიანს ძილი ერევა და მალე იძინებს კიდევაც.

## ინტელექტუალები ბოსტნეულს ამჯობინებენ

**ბრიტანელი მეცნიერების მიერ მოწყობილი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვები, ინტელექტის მაღალ დონეს რომ ავლენენ, შემდგომში ხშირად ვეგეტარიანელები ხდებიან.**



მედიკოსები ვერ ხსნიან, თუ რასთანაა დაკავშირებული ინტელექტის მაღალი მაჩვენებლები ბოსტნეულის მოყვარულებში, თუმცა მიაჩნიათ, რომ ვიტამინებით მდიდარი დიეტა ამაღლებს ტვინის აქტიურობას. აგრეთვე, გამოკვლევების შედეგების თანახმად, ვეგეტარიანობისკენ მიდრეკილება ამცირებს გულის დაავადებების რისკს და გასუქებისკენ სწრაფვას.

მეცნიერებმა შეამოწმეს 8179 ადამიანი, რომელთა ინტელექტის ტესტები 1970 წელს მოეწყო. მათმა დიდმა უმრავლესობამ, ვისაც მაშინ მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, შემდგომში ბოსტნეულის დიეტა ამჯობინეს.

## ახალი ხილი იმუნიტეტს ამაგრებს

**ახლა ხომ ახალი ხილის სეზონია. ალბათ საჭირო არაა იმის ჩამოთვლა, თუ რა სარგებლობა მოაქვს ხილის ყოველდღიურ ჭამას, თუმცა ბრიტანელმა მეცნიერებმა ყველაზე პოპულარულ ხილში — ვაშლში, ატამსა და ბევრ სხვაში — აღმოაჩინეს თვისებები, რომლებსაც ადრე არ ვაფასებდით.**



როგორც გამოირკვა, ამ ხილში სუპერქიმიური პოლიფენოლების არსებობა ეხმარება იმუნიტეტს, ამავე დროს ავლენს გაახალგაზრდავების გამოხატულ ეფექტს, რაც ხუთჯერ მაღალია, ვიდრე ადრე მიაჩნდათ.

მკვლევარები აცხადებენ, რომ ზამთარში გრიპის ეპიდემიის წინ ორგანიზმმა უნდა შეივსოს ვიტამინების მარაგი, ამიტომაც ხილის ჭამა მართლაც რომ აუცილებელია, თანაც გემრიელია!

## ალკოჰოლი ძილს ვნებს

**ძილის სხვადასხვა დარღვევის გამოწვევა შეუძლია ალკოჰოლს. მეცნიერებმა გამოკითხეს 2 ათასზე მეტი ადამიანი. ისინი, ვინც დღეში სვამენ მედიკოსების მიერ რეკომენდებული ნორმაზე მეტს, დღის განავლობაში ძალზე იღლებიან. ბუნებრივია, რომ ეს არღვევს ძილს, სპირტიანი სასმელები იწვევენ ორგანიზმის გაუწყლოვანებას, რასაც მოჰყვება თავის ტკივილი, ეს კი ხელს უშლის დაძინებას.**

რათა ძილის პრობლემები მოვიხსნათ, სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ბოროტად არ გამოვიყენოთ ალკოჰოლური სასმელები და არ გადავაჭარბოთ დღიურ ნორმას.

მამაკაცებმა დღეში არ უნდა დალიონ ერთ ლიტრზე მეტი, ქალებმა კი მხოლოდ 250 მილილიტრი ღვინო.

## საჭმლიანი ნახატები – გახდომის საშუალება?

**გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ნიდერლანდების უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს წონაში დაკლების ახალი საშუალება. გახდომის მსურველებმა უნდა ათვალიერონ ნახატები პროდუქტებით.** მავნე საკვების რეგულარული დათვალიერების პროცესში ადამიანს, შესაძლოა, გაუჩნდეთ ჯანსაღი საკვებისადმი ინტერესი. ასეთ დასკვნამდე მისვლაში ფსიქოლოგებს დაეხმარა ექსპერიმენტი, რომელშიც 54 ქალი მონაწილეობდა. გამოსაცდელები დაყვეს ჯგუფებად, ზოგს უჩვენებდნენ შოკოლადის ტორტის ფოტოსურათს, სხვებს ნახატებს ყვავილებით. ამის შემდეგ ქალებს ურჩიეს, გაესინჯათ შოკოლადის ტორტის ნაჭერი ან ქერის ნამცვარი. ქალებმა, ტორტს რომ აჩვენებდნენ, ამჯობინეს ნამცხვარი, სხვებმა კი უპირატესობა ტორტს მიანიჭეს.



დიეტოლოგები ურჩევენ გახდომის მოსურვეებს, ფასტუდის ფოტოსურათები გამოაკრან მაცივრის კარზე.

◉ ანეკდოტები

რეალითი შოუს პირობების თანახმად, მის ყოველ მონაწილეს უფლება ჰქონდა, კუნძულზე წაეღო მხოლოდ ერთი ნივთი.

ვანიამ წიგნი წაიღო, პეტკამ მაგნიტოფონი, ვასკამ კომპასი, ვოვოჩკამ კი რეზინის გასაბერი ქალი... ერთი თვის შემდეგ ვოვოჩკას ჰქონდა წიგნიც, მაგნიტოფონიც და კომპასიც...

* * *

— უსმინე, ძვირფასო, რა შესანიშნავად გალობს ბულბული, — ეუბნება ცოლი მიხოს.

— რატომ არ იგალობებს, რო? უცოლოა, ვალები არ ახრჩობს, კბილი არ სტკივა და, რაც მთავარია, ხვალ სიდედრს არ ელის!

* * *

ნაშუაღამევია. მუშაობით დაღლილი ბიზნესმენები საუნაში გოგოებთან ერთობიან. უცებ ერთ-ერთ მათგანს მობილურით ცოლი ურეკავს:

— ძვირფასო, სადა ხარ?

— წარმოგიდგენია, ტრასაზე საცობში ვარ მოხვედრილი!

— ნაშუაღამევს? აბა, ერთი დაასიგნალე...

* * *

როდესაც არ უნდა შეხვიდე მეტროში, იქაურობა ხალხით არის სავსე. ხალხი სამუშაოზე მიდის, სამუშაოდან მოდის... ვერ გაიგებ, როდის მუშაობენ...

* * *

მამაკაცი — ეს ის არსებაა, რომელიც ერთხელ გამოძვრა ქალის ორგანიზმიდან და მერე მთელი თავისი ცხოვრება ცდილობს, კვლავ მასში შეძვრეს.

* * *

იყავით ჯანმრთელი და მდიდარი! პატივისცემით, თქვენი საგადასახადო ინსპექცია.



* * *

გულითადი საუბარი ამოკლებს სამუშაო დღეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.